ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

СССР

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘᲡ № 288 (12496) | ᲙᲕᲘᲠᲐ, 9 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, მისი ხალხი ცხოვრობს, შრომობს, ახორციელებს თავის დიად ისტორიულ საქმეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მძლავრი შთამაგონებელი ზემოქმედებით. ნოემბრის პლენუმმა საბჭოთა ხალხი აიყვანა ახალ სიმაღლეზე, საიდანაც უფრო ხილულად ჩანს ჩვენი კომუნისტური მომავალი.

საბჭოთა ადამიანებს დიდად ახარებს და აღფრთოვანებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება, რომ საჭიროა პარტიული ხელმძღვანელობა მიუახლოვდეს წარმოებას, რომ პოლიტიკურად და ეკონომიურად მიზანშეწონილია პარტიული ორგანოების სტრუქტურის გარდაქმნა, რაც უკვე ხორციელდება. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებასა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათლად არის ჩამოყალიბებული და დასაბუთებული ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის კონკრეტული ღონისძიებანი, ყოველმხრივ დამუშავებულია პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ლენინური პრინციპების აღდგენის და დაცვის საკითხები.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყოველთვის, მხურვალედ გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას. ქალაქად თუ სოფლად, სამრეწველო საწარმოებში თუ საკოლმეურნეო მინდვრებზე სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფს. ყველგან და ყველაფერში იგრძნობა რესპუბლიკის მშრომელთა მტკიცე ნება, რომ რაც შეიძლება სწრაფად ხორციელ შეასხან ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ამ დღეებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტმა მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალების ფართო პროპაგანდის შესახებ. დადგენილებაში რესპუბლიკის პარტიული ორგანოზაციების, იდეოლოგიური დარგის მუშაკებს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეულია ღრმად გააცნონ ყველა მშრომელს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, დაეხმარონ თვითეულ ადამიანს განსაზღვროს თავისი ადგილი და საკუთარი წვლილი ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ცნობილია, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებები ყოველმხრივ განხილული იქნება პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, მომავალ პარტიულ კონფერენციებზე, პარტიულ კრებებსა და მშრომელთა კრებებზე, აგრეთვე საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებში. ეს მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიაა, რომლის სწორად და მაღალ იდეურ დონეზე ჩატარება ხერიოზული პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებსა და პარტიულ კომიტეტებს. ამიტომ საჭირო იქნება ამ ღონისძიებათა მომზადებასა და ჩატარებაში კომუნისტებთან ერთად ფართოდ ჩავაბათ უპარტიო მასები, რათა მათ კიდევ უკეთ გაიგონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი თავიანთი კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, ხორცი შეასხან სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დასახულ ღონისძიებებს.

საქართველოს კა თბილისის კომიტეტმა პარტიული კომიტეტების პოლიტიკური მომზსენებლებისათვის, მეთოდსაბჭოების, ლექტორთა ჯგუფების და პროპაგანდისტთა სემინარების ხელმძღვანელებისათვის ჩაატარა საინსტრუქტაჟო მოხსენება თემაზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი უმნიშვნელოვანესი ეტაპია პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. სავსებით სწორად მოიქცნენ ის პარტიული კომიტეტები, პირველად პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც ამ საკითხებზე უკვე მოაწყეს მსგავსი საინსტრუქტაჟო თათბირები და დასახეს ღონისძიებანი პლენუმის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდის უზრუნველსაყოფად.

რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების მთელი სისტემა — ყველა წრე, პოლიტსკოლა და თეორიული სემინარი შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალების შესწავლას. ეხლა მთავარია, როგორ წარვმართავთ თვითეული წრის, პოლიტსკოლის, სემინარის მეცადინეობას. ამ საქმეში, როგორც აქამდე, ისე ამჟამადაც ძირითადი ფიგურაა პროპაგანდისტი. პროპაგანდისტის, კონსულტანტის, ლექტორის, მომხსენებლის ხელოვნება, მათი პოლიტიკური და თეორიული სიმწიფე წყვეტს საქმის წარმატებას. მათ უნდა შეძლონ პარტიის პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლების ღრმად გაშუქება, ცხოვრების ცოცხალი ფაქტებით ცხადყონ სახალხო მეურნეობის პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის ობიექტური აუცილებლობა. მსმენელებს უნდა განუმარტოთ, რომ პარტია ახორციელებს გეშმარიტად რევოლუციურ ღონისძიებებს, რომლებიც შლიან ფართო ასპარეზს ჩვენი საზოგადოების საწარმოო ძალების ზრდისათვის, რომ პარტია ამ ღონისძიებათა განხორციელებაში ემყარება ლენინურ დებულებას — სოციალიზმის დროს „უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არა პოლიტიკას, არამედ ეკონომიკას“.

ახლა, ისე როგორც არასოდეს, საჭიროა, რომ ჩვენი კადრები და ყველა საბჭოთა ადამიანი, მუშა თუ კოლმეურნე, მევეზახე თუ მეჩაიე, მეცნიერი თუ სტუდენტი ნათლად ხედავდეს კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის წინსვლის უდიდეს პერსპექტივას, ყოველდღიური შრომითი საქმიანობის მეიდრო, ორგანულ კავშირს ახალი საზოგადოების მშენებლობის დიდებულ გეგმასთან, და განმსჭვალოს გადასაწყვეტი ამოცანების სიდიადის შეგნებით. ეს კი გააადვილებს მათს ღონისძიებებს კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალების განმარტებისათვის საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში, მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებში უნდა გამოვიყენოთ პროპაგანდისა და აგიტაციის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ყველა მრავალფეროვანი ფორმა და საშუალება. ეს საქმე არ არის კამპანიური ხასიათისა, პირიქით, აქ საჭიროა თანმიმდევრობა, მიზანსწრაფვა, ცხოვრებასთან, კონკრეტულ ამოცანებთან კავშირი. უნდა მოვაწყოთ ლექციების, მოხსენებების ყველგან წაკითხვა, გავმართოთ საუბრები, თეორიული კონფერენციები, თემატური საღამოები, კოლექტიურად წავიკითხოთ პლენუმის მასალები მოსახლეობის ფართო წრეებისათვის აგიტპუნქტებში. ამ დიდ და პასუხსაგებ მუშაობაში ჩავაბათ ნოემბრის პლენუმის მონაწილენი, მოვაწყოთ მათი შეხვედრები მუშებთან, კოლმეურნეებთან, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დოკუმენტების ყოველმხრივ და ღრმა შესწავლას, რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებას ხელს შეუწყობს ეკონომიური კონფერენციების მოწყობა.

საჭიროა არ დარჩეს იდეოლოგიური მუშაობის არც ერთი უბანია, რომელიც თავის კონკრეტულ წვლილს არ შეიტანს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდის საქმეში. პლენუმის გადაწყვეტილებები ახალი ამოცანების წინაშე აყენებს კულტურის სამინისტროს თავისი დაწესებულებებით, რესპუბლიკის შემოქმედებით კავშირებს, მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას, გამომცემლობებს და სხვ. მათს მოქნილ და ქმედით მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული რესპუბლიკის მშრომელთა მიერ იმ დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, რასაც მოითხოვს სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი პლენუმის მასალების პროპაგანდაში ეკუთვნით ჩვენი რესპუბლიკის საოლქო, საქალაქო და სარაიონთაშორისო გაზეთებს, რადიოს და ტელევიზიას. მათი მოვალეობაა აჩვენონ მასებს, თუ როგორ ხორციელდება პლენუმის გადაწყვეტილებანი ყოველდღიურ ცხოვრებაში, სათავეში ჩაუდგნენ ყოველივე ახალს, მოწინავეს და გამეფდულად ამხილონ ნაკლოვანებანი, ჩვენს ყოფაში ჯერ კიდევ შემორჩენილი მანკიერი მხარეები.

კომუნიზმი და შრომა განუყოფელია. ამიტომაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალების განმარტებამ და შესწავლამ უნდა განვითაროს კომუნიზმის მშენებელთა შემოქმედებითი აზრი, დარაზმოს თვითეული ადამიანი იმისათვის, რომ იშრომოს თავდადებით, ძალღონისა და უნარის სრული გამოყენებით, დაეუფლოს ცოდნას, ტექნიკას, გამოიყენოს მოწინავე გამოცდილება, წარმატებით აიღოს ახალი წლის მიჯნები და აქედანვე საფუძველი ჩაუყაროს შვიდწლედის მეხუთე წლის წარმატებებს. ეს არის დღეს ბუნდოვანი და ზეპირი პროპაგანდის ძირითადი აზრი, მთელი იდეოლოგიური მუშაობის შინაარსი.

დღეს იდეოლოგიური დარგის ყველა მუშაკის, თვითეული კომუნისტის და კომკავშირელის საპატიო მოვალეობაა სულ უფრო გაიფაროოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ხელმძღვანელობის ბიუროსა და უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის ბიუროს შემადგენლობა. უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ე. შელესტი დამტკიცებულია სამრეწველო წარმოების ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარედ, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. გ. კომიახოვი — სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარედ.

უკრაინას კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ს. გრუშეცკი დამტკიცებულია უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

ამით პლენუმმა დაამთავრა მუშაობა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲐᲖᲔ

ᲪᲘᲮᲘᲡᲫᲘᲠᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔ

ყოველდღიურად სასიხარულო ცნობები მოდის აჭარის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან.

ციტრუსოვანთა ნაყოფის ჩაბარების წლიური გეგმების შესრულება უსაბოლოს სამშობლოს მუხაესტატეს, კვირიკეს, ჯიანჯოურის, ჩაქვისა და ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობებმა. აღსანიშნავია, რომ ციტრუსოვანთა გეგანტმა — **ციხისძირის საბჭოთა მეურნეობამ ვადამდე შეასრულა ციტრუსების კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების წლიური გეგმა.** მოკრეფილია 640 ტონაზე მეტი ნაყოფი ნაცვლად 620 ტონისა, 190 ათასი ცალი ლიმონი ნაცვლად 150 ათასი ცალისა.

შრომაში დაწინაურდნენ იმ აგროგანყოფილებათა მეცტრუსეები, რომლებსაც გიორგო კოპახიძე და რესულ ქიქაძე ხელმძღვანელობენ.

მეურნეობის კოლექტივმა იკისრა გეგმის გადამეტებით მისცეს ქვეყანას 140 ტონა მანდარინი, 20 ტონა ფორთოხალი და 50 ათასი ცალი ლიმონი.

ᲬᲚᲔᲥᲘᲫᲘᲚᲘᲗᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ᲤᲣᲚᲣᲐᲫᲔ. (საკ. კორ.). აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც მახარაძეს თანამოსაქმეებს ეჯიბრება, ვადაზე ერთი კვირით ადრე დაანაღდა თერმეტი თვის დავალება და 246.800 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

საგულისხმოა, რომ დავალება შესრულებულია მთელი. დაწესებული ასორტიმენტისა და ნომენკლატურის მიხედვით, ამასთან წარმოების ყველა უბანზე გაწეულია მნიშვნელოვანი ეკონომია.

გაბვლილ პერიოდში დაზოგილია 1.351 კილოგრამი ხამი აბრეშუმის ძაფი, 55 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და 420 ტონა საწვავი. ამ გზით მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება და ზეგეგმითი ეკონომიის თანხამ 27.000 მანეთს გადააჭარბა.

ᲞᲐᲠᲒᲘ ᲗᲐᲛᲬᲜᲝᲒᲐ

მახარაძე (საკ. კორ.). ჩაის უხვი მოსავლის მიღების შესანიშნავი ტრადიცია აქვთ ნაგომრის კოლმეურნეებს „საქართველოს“ მეჩაიეებს. ისინი წლითიწლობით ზრდიან მოსავლიანობას.

წელს ნაგომრელებმა საუკეთესო ინიციატივა გამოიჩინეს. მათ მოწოდებით მიმართეს მახარაძის ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალ მეჩაიეებს. მიმართვაში მოუწოდეს პირველ იანვრამდე დაამთავრონ ჩაის პლანტაციების ყველა სამუშაო და უზრუნველყონ 1963 წელს „მწვანე ოქროს“ უხვი მოსავლის მიღება.

ნაგომრელთა ძვირფასმა თაოსნობამ მხურვალე მხარდაჭერა და მოწონება გამოიწვია მეჩაიეთა შორის. მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უკვე შეუდგნენ ჩაის პლანტაციების სანიმუშოდ დამუშავებას. ისინი პირობას იძლევიან მთელი ძალღონე მოახმარონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ — 85 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ შრომის საპატიო სახელის მოპოვებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის (დირექტორი ბ. კუზიანიძე) კოლექტივი. მან 7 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. თერთმეტი თვის გეგმის შესრულებამ კი 115 პროცენტს გადააჭარბა.

გეგმის შესრულებასთან ერთად მკვეთრად გაიუმჯობესა წარმოების ყველა ეკონომიური მაჩვენებელი, დაზოგა 20 ტონა თამბაქოს ნედლეული და 20 ათასი მანეთის სხვადასხვა მასალები. განვლილ პერიოდში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით ამაღლდა 13 პროცენტით, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 113 ათასი მანეთით შეამცირა. ყოველივე ამის შედეგად წარმოებამ მიიღო ზეგეგმითი დაგროვება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში 85 ათასი მანეთი შეიტანა.

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲔᲓᲔᲡ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ შუშის ქარხნის კოლექტივს თვალსაჩინო წარმატებები აქვს მოპოვებული შვიდწლედის მეოთხე წლის საწარმოო დავალებათა შესრულების საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შუშაობის დღეებში შუშის ქარხნის კოლექტივმა სამშობლოს უპატაჯა 11 თვის საწარმოო გეგმის დიდი გადაჭარბებით შესრულება. გამოშვებულია 45.900 ათასი ცალი ბოთლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 44.500 ათასი ცალისა.

Ლ. ᲛᲘᲥᲘᲣᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მშენებლები ჩქარობენ. წელიწადი იწურება და ცდილობენ საცხოვრებელი ბინების მშენებლობის დავალებანი დაწესებულ ვადაზე ადრე შეასრულონ. ამ საქმეში დაწინაურდა მთავარსამმართველოს № 9 სამმართველო (უფროსი შ. შალიკაშვილი). ამ სამმართველოს მშენებლებმა თერთმეტი თვის გეგმა 105,7 პროცენტით შეასრულეს. გეგმით გათვალისწინებული 23,676-ის ნაცვლად საექსპლოატაციოდ გადაეცა 24.418 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, განვლილ პერიოდში გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 7,9 პროცენტით გაიზარდა, მიღებულია 109,100 მანეთი ეკონომია.

კარგი მუშაობით სახელი გაითქვა მშენებელთა კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც ა. ბედოშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ გამომუშავების წლიური გეგმა ერთი თვით ადრე 182 პროცენტით შეასრულა და საექსპლოატაციოდ გადასცა სამი ხუთსართულიანი სახლი — თვითეული 45 ბინის როდენობით.

სამუშაოთა ყოველდღიურ ნორმებს ასევე დიდი გადაჭარბებით ასრულებს ნ. ბაგანიას კომპლექსური ბრიგადა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია მოსკოველ მშენებელ ლამოჩკინის კომპლექსურ ბრიგადასთან.

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲝᲫᲛᲔ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 8 დეკემბერი. (საკდესი). ღღეს აქ მუშაობა დაამთავრა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XII ყრილობამ.

არჩეულია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ახალი ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები და წევრობის კანდიდატები. ა. ნოვოტნი ერთხმად არჩეულია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

ყრილობამ მოიწონა მთელი რიგი რეზოლუციები და მიიღო მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

ᲠᲝᲛᲘ, 8 დეკემბერი. (საკდესი). ღღეს რომში კონგრესთა სასახლე „ეურში“ მუშაობა დაამთავრა იტალიის კომუნისტური პარტიის X ყრილობამ.

ღღესვე გაამართა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. ყრილობამ

ᲐᲓᲔᲜᲐᲣᲔᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲐᲡ ᲐᲙᲘᲠᲔᲑᲡ

ᲒᲝᲜᲘ, 7 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი იუწყება:

ადენაუერი მომავალი წლის შემოდგომაზე ამირებს გადადგეს კანცლერის პოსტიდან. ეს ღღეს ოფიციალურად გამოაცხადა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის საპარლამენტო ფრაქციის სპეციალურ სხდომაზე ბონში ფრაქციის თავმჯდომარემ ბრენტანომ.

ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲒᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). ღღეს პრეზიდენტი კენედი საინსპექციოდ გაემგზავრა სამი ღღით შეერთებული შტატების დასავლეთ ნაწილში. აგი ინახულებს ომაჰის (ნებრასკის შტატი) სტატეგიული ავიაციის სარდლობის შტაბს, აგრეთვე ნიუ-მექსიკისა და ნევადის შტატებში ატომური იარაღის „სრულიად სიდუმლო“ საცდელ-ექსპერიმენტულ სადგურებს. პრეზიდენტ კენედის თან ახლავან ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ლ. ჯონსონი, ატომური ენერგიის კომისიის თავმჯდომარე გ. სიბორგი, ავიაციის მინისტრი ი. ცუკერტი და ამერიკის შეიარაღებული ძალების სხვა ხელმძღვანელები.

ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲐᲤᲔᲗᲘᲥᲔᲑᲐ ᲜᲔᲕᲐᲓᲐᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 8 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ნევადის შტატის პოლიგონზე შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა მოაწყეს ერთობლივი მიწისქვეშა ატომური აფეთქება. როგორც იუნაიტედ პრესს-ინტერნიუშნლის სააგენტო იუწყება, ეს არის მეორე მიწისქვეშა ატომური აფეთქება, რომელიც განახორციელა ერთობლივად ამ ორმა ქვეყანამ შესაბამისად 1958 წლის 4 აგვისტოს შეთანხმებისა ატომური ენერგიის გამოყენების დარგში თანამშრომლობის შესახებ „ურთიერთთავდაცვის მიზნით“.

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲑᲠᲣᲜᲔᲘᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ 8 დეკემბერი. (საკდესი). ღღეს ბრუნეის სასულთნოში (ინგლისის პროტექტორატი ჩრდილოეთ ბორნეოში) მოხდა აჯანყება. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სინგაპურიდან იუწყება, აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ნავთობმოსაპოვებელი მრეწველობის ცენტრი ბრუნეის ჩრდილო-დასავლეთით — ქალაქი სერია და დაიწყეს ბრძოლები დედაქალაქ ბრუნეიში.

ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲢᲐᲜᲒᲐᲜᲘᲙᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲛᲐ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა ტანგანიკის რესპუბლიკის პრეზიდენტს იულიუს კამბარაჯა ნიერერეს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გულითადად ულოცავენ და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ ტანგანიკის ხალხს აფრიკის ამ ქვეყნის რესპუბლიკად გამოცხადების გამო.

დეპეშაში გამოთქმულია იმედი, რომ საბჭოთა კავშირ-ტანგანიკის ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს სრული თანასწორობის, სუვერენიტეტის პატივისცემისა და ერთიმეორის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის მაღალი პრინციპები, კვლავაც წარმატებით განვითარდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘᲡ ნ. Ა. ᲔᲡᲛᲣᲮᲐᲛᲑᲔᲢᲝᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა წერილი გაუგზავნა ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკის სანაშენო მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის „შელკოვსკის“ უფროს მწყემსს ნ. ა. ესმუხამბეტოვს, რომელშიც გულითადად ულოცავს ნაურდი აკვატის ძეს და მისი ბრიგადის წევრებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ამხ. ესმუხამბეტოვის ბრიგადამ ყოველ ას ნაზმატყლიან ნერბზე გამოზარდა 141 ბატკანი, მიიღო 6,8 კილოგრამი მატყლი თითოეულ ცხვარზე. ეს შესანიშნავი შრომითი გამარჯვებაა.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მეცხოველეს უსურვებს შემდგომ შრომითს წარმატებებს სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჯანმრთელობასა და პირად ბედნიერებას. იგი აგრეთვე მხურვალე სალამს უთვლის საბჭოთა მეურნეობის მთელ კოლექტივს.

თავის წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი სანადმი უფროსი მწყემსი ამხ. ესმუხამბეტოვი წერს, თუ რა წარმატებით შეასრულა მისმა ბრიგადამ ვალდებულება, აცნობს თავის მომავლის გეგმებს.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, წერს ამხ. ესმუხამბეტოვი, რომ კვლავაც შემოქმედებითად და შთაგონებით ვიშრომებთ, გისურვებთ ჯანმრთელობასა და მრავალ წელს ნაყოფიერ საქმიანობას საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. (საკდესი).

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲛᲐ ნ. ს. ხრუშჩოვმა მოსკოვის ოლქის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს მიმართა წერილით, რომელშიც გულითადად მიულოცა კოლექტივს მებაღეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებანი.

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 7 დეკემბერი, (საკდესი). ორ დღეს გაგრძელდა უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობა. მისმა მონაწილეებმა დიდი აქტივობით განიხილეს უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ვ. პოდგორნის მოხსენება — უკრაინის კომუნისტური პარტიის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა მუშაკებმა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა, მეცნიერებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის ღონისძიებანი საბალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნისათვის და დასახეს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის კონკრეტული გზები. ერთმანეთს გაუზიარეს აზრი, თუ როგორ აამოქმედონ რეზერვები, აღმოფხვრან დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიან წინსვლას.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვ. პოდგორნიმ. ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია მოსმენილ საკითხზე.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. ვ. გ. კომიახოვი არჩეულია უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად და ცენტრალური კომიტეტის მდივნად, ა. ს. გრუშეცკი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად და ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

პლენუმმა დამტკიცა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო წარმოების ხელმძღვანელობის ბიუროსა და უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის ბიუროს შემადგენლობა. უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ე. შელესტი დამტკიცებულია სამრეწველო წარმოების ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარედ, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. გ. კომიახოვი — სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარედ.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ს. გრუშეცკი დამტკიცებულია უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

ამით პლენუმმა დაამთავრა მუშაობა.

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲘ

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესის კორ.) ბუკნოთუს მთის ძირას უზბეკმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ზედაპირზე გამოსული ძვალი გამოქარული მიწის ქერქი. მრავალი მილიონი წლის წინათ, როცა დედამიწაზე ჯერ კიდევ არ იყო ადამიანი, ამ ადგილას იქნებოდა ნალექი ქანები, რომლებიც შეადგენდნენ პლანეტის ძველ საფარველს.

ეს ფაქტი იმითაც არის საინტერესო, რომ გეოლოგებმა აქ აღმოაჩინეს კაოლინის თიხის ვეებერთელა ბუდობი. ამ ბუდობის მარაგი მილიარდობით ტონაა. კაოლინი ფენებად ძევს, ფენის სისქე კი ათი-თხუთმეტი მეტრია. ანალიზმა ცხადყო, რომ ეს კაოლინი ხარისხითა და რკინის უმნიშვნელო შემცველობით

ადამიანი და დოვლათი

ჯატარა ლიახვის სათავეში კავკასიონის ქედის გაწმტოების ერთ-ერთი გორაკის გაშლილ კალთაზე. შეფენილია სოფელი ერედვი. ქვევიდან რომ შეხედო, სოფელი მოჩანს ცის ფონზე, რომელზეც ციხე-კოშკებად ისატება მთები— ორბოძელა, სიათა, გნასური. ბოლო ათეული წლებში ფართოდ გადაშლილა და გრძელად გადაჭიმულ სოფელი, ბად-ვენახებით დამშვენდა და ელნათურებით გაბრწყინდა. მისი უბნები სოფლებად გადაიქცა და ერედვს კი აღარ უწოდებენ, არამედ ერედვებს, რადგან ერთის მაგიერ სამი ერედვია ახლა.

მძიმე და ბნელი იყო სოფლის ცხოვრება ძველათ. არც ვენახი გაჩნდათ, არც ბაღი. ურწყავ მიწებზე ვაი-ვაგლახით მოჰყავდათ პირნახული. ბანიანი სახლების ალიზით ალესილ კედლებს ფანჯრები არ ჰქონდა, მიწაგადაყრილ სახურავებში ამოჭრილ საკვამურებში წვიმა და თოვლი ჩადიოდა. ზამთრობით განუწყვეტლივ ენთოთ შუაცეცხლი, შეაორვევდნენ სათარს, უზარმაზარ ხეს, ცეცხლს მოუკიდებდნენ და დღედაღამ ენთო და იწვოდა იგი. შუაცეცხლის გარშემო შემოუსხდებოდნენ და თუ საკვამურს დახურავდნენ, კვამლით და ჭვარტლით ივსებოდა ოთახი.

მთელ სოფელს ერთი ჩოხა-ახალუხი და ქამარ-ხანჯალი ჰქონდა, რომელიც ბედნიერი დღისათვის ქირავდებოდა. თუ კი ვინმე ცოლს თხოულობდა, ამ ჩოხა-ახალუხს მოიჩაგბდა, ჩაიცვამდა ნუდა-ჩექმას, შნოიანად შემოირტყამდა ქამარ-ხანჯალს და თავის სიცოცხლეში ერთხელ დამშვენებული პატარძალს მიიყვანდა შინ, ნაქეიფებდნენ, მერე კი იწყებოდა ისევ ის უღიმდამო ცხოვრება მძიმე შრომაში.

ასე მოიყვანა თავისი პატარძალი ილია ქრისტესიაშვილმა სოფელ ბელუთიდან წიქარაძეების ქალი ამ ნახევარი საუკუნის წინათ. კოტაობდა ილია, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და ნაქირავებ ცხენზე ამხედრებული. ახალი, ბედნიერი ცხოვრება იწყებოდა მისთვის, სადღეგრძელოებშიც ამასვე ამბობდნენ, მაგრამ მეორე თუ მესამე დღიდანვე ჩაიცვა თუ არა თვისი ტანსაცმელი ძველ დუხჭირ ცხოვრებას შეუდგა.

გადიოდა წლები, ბედნიერდებოდა ოჯახი ვაჟებით, მაგრამ ილიამ გარკვით და შრომით ოჯახი ფეხზე ვერ დააყენა, გაჭირვებას თავი ვერ დაალწია. წამოზრდებოდა თუ არა რომელიმე ვაჟი, მაშინვე მოჯამაგირედ გზავნიდა. ოთხი ვაჟი ჰყავდა მას და ოთხივე მოჯამაგირედ დადგნენ ერედვშიც და მეზობელ სოფლებშიც, — არჩვაძეებთან, არბოლიშვილებთან, მაისურაძეებთან და ბორცვაძეებთან.

ბედნიერი იყო ილიასათვის ის დღე, როდესაც მის ჭერქვეშ ოთხივე ვაჟმა თავი მოიყარა, დედა, ოლღა, სიხარულით ცას ეწია, მთელი ოჯახი შეიკრიბა, მასთან არიან მისი საყვარელი შვილები იასონი, შალვა, გიორგი, ვანო. ამ ყმაწვილებს მოჯამაგირეობისგან თავი დაეღწევინა 1921 წელმა.

იასონ ქრისტესიაშვილი სწავლას დაეწყო. შვიდწლედი დამთავრა. მიაშურა ერთწლიან სასოფლო-სამეურნეო სკოლას. ისიც დაამთავრა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურში აგროტექნიკოსად დაიწყო მუშაობა. ოცი წლის წინათ, დიდი სამამულო ომის დროს მშობლიური სოფლის — ერედვის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

გაუღიმარი და შუბლშეკრული იყო იასონი საქმეზე. რა ჰქონდა სახიხარული? სუსტი იყო კოლმეურნეობა. სულ რაღაც ექვსი ჰექტარი ვენახი, ცხრა ჰექტარი ბაღი და ურწყავი სახნავი მინდვრები, სადაც თესდნენ ქერსა და სიმინდს.

ტანმორჩილი კაცი, ყოველთვის სერიოზული და ერთის შუხედვით თითქოს მუდამ გაჯავრებული და ვიღაცაზე დადურებული დადიოდა სოფლის მიწაწყალზე ოცნების მსგავსი ფიქრებით... ფიქრობდა ბაღ-ვენახების გაფართოებაზე, ურწყავი მიწების სარწყავად გადაქცევაზე, ადგილობრივი ჩია ძროხების ჯიშიანი ძროხებით შეცვლაზე, მათ გამრავლებაზე... თანდათან ახორციელებდა ოცნებას. გაკრეს ვენათის სარწყავი არხი, და პატარა ლიახვი შეუშვეს შიგ. მთელი სოფელი მონაწილეობას იღებდა არხის გაყვანაში. მუშაობდნენ მონდომებით, გატაცებით... გაშენდა ბოსტნები, გაფართოვდა ვენახები, ბაღებისათვის ალანტაკი მომზადდა. წყალი უკვე უხვად იყო და ნოყიერი ნიადაგი ხეხილს ვერ გაუხარებდა? გაახარა კოდევაც...

საქონელმაც იმრავლა. 1.720 სული მსხვილფეხება საქონელი, თანაც სულ ჯიშიანი. პირველ ხანებში წლის განმავლობაში ხუთას ლიტრ რძეს იწველიდნენ მათი ძროხები, ბოლო წლებში ორი ათას ლიტრს გადააჭარბეს. ყველფერი ეს კეთდებოდა თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე შეუნელებელი შეუპოვრობით. არავის ახსოვს იასონს შეუყვირება, უმშაფური სიტყვა. დაბალი, დინჯად წარმოთქმული, მაგრამ მომთხოვნი სიტყვა არაზოდეს შეუსრულებელი არა რჩებოდა. იღიმებოდნენ და ხარობდნენ ერედველი კოლმეურნეები, როდესაც შემოდგომის ბარაქით ეგსებოდა მათი ოჯახი, სიხარულით შედიოდნენ თავიანთ ახლად წამოშენებულ ორსართულიან სახლებში.



როდესაც კაცი სოფლად თუ ქალაქად. სადაც უნდა იყოს, ერთ ხეს დარგავს, მისი ტოტების ჩრდილში დამსვენებელი, მისი ნაყოფის სიტკბოს მგემიები, მისი სიმშვენიერის მნახველი გულიანად ამბობს:

— დალოცოს მისი მარჯვენა. ვინც გაგახარა!..

იასონ ქრისტესიაშვილმა კი ერედვში 20.000 ძირი ხეხილი გაახარა. დღეს ყოველი მათგანი მსხმოიარეა...

წელს იანვარში ქრისტესიაშვილი მეზობელ სოფელ ქსუსში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

იასონი ბავშვობიდანვე კარგად იცნობდა ამ სოფელს, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში უკეთესად გაიცნო. სტუმრად ხომ იყო ნამყოფი, საცერს მაინც ითხოვებდა ასეთი ახლო მეზობლისაგან. პატარა ლიახვით მორწყული-მისი ნოყიერი მიწა რას არ გაახარებდა, მაგრამ ნაკლებად იყო გამრჯე ხელი და ხელმძღვანელებიც არ უვარგოდნენ.

როდესაც ახალმა თავმჯდომარემ სოფელი შემოიარა, სოფფრძელიანად დაათვალიერა და ჩაუკვირდა კოლმეურნეობაში შექმნილ მდგომარეობას, შეწუხდა, საგონებელში ჩავარდა, როგორ აღედგინა დაცემული მეურნეობა. აი რა სურათი გადაეშალა თვალწინ:

ხეხილის ბაღებში ვაზლის ხეები გაყვიფოდებული და დაფლონებულები იდგნენ. ირგვლივ დაუმუშავებელი, დაეკამირებული მიწა ჩაკირულივით შემორტყმოდა. ბალახი ფარავდა ხეხილის ძირებს. ბაღებში აქა-იქ ტოტებშემოშხმარი ბებერი ხეები იდგა. ამ ხეებზე ძროხებს აბამდნენ და მოძალებულ სარეველა ბალახს აძოვებდნენ. ამ ბაღმა შარშან კოლმეურნეობას ჰექტარზე რის ვაი-ვაგლახით ოცდაორი ცენტნერი ვაშლი მისცა.

თავმჯდომარემ ახლა ფერმას მიაკითხა. აქაც ცუდი სურათი გადაეშალა. ბინები არ ჰქონდათ. პირუტყვის ერთი ნაწილი ცივ ზამთარშიც ცის ქვეშ ჰყავდათ, ნაწილს კი კერძოდ დაჭირავებულ ბინებში ინახავდნენ. პირუტყვი შიმშილობდა, საკვები არ გააჩნდათ! ამის მიზეზი რაღა იყო?.. უთავობა და გულგრძელობა. განა ორბოძელას, სიათას და გნასურის კალთებზე ცოტა იყო სამყური, ქინძარა და წვერა ბალახი, რომ პირუტყვისათვის ზამთრის საკვები არ დამზადებულ? დაუდევრობის გამო ბალახის გათიბვა ვერ მოახერხეს, მანქანებისათვის საწვავი არ გააჩნდათ, არც ფული ჰქონდათ, რომ მანქანა ეყიდა. ასეთ ფერ-ფერ მიზეზებს ამბობდა, ოფლიანი ლაპებიდან ბენზინი შეეძინათ. მთაში ბალახი ლპებოდა, სოფელში კი მშიერი პირუტყვი ბღაოდა.

მეფრინველეობის ფერმაში ხუთასი ფრთა ფრინველი ჰყავდათ. საკვამე შუა სოფელში ჰქონდათ აშენებული. ქათმების კვებისათვის თავს არ იწუხებდნენ. სად ჰქონდათ იმდენი, რომ ყოველდღიურად, დღეში სამ-ოთხჯერ ქათმებისათვის მიერთმიათ კუთვნილი ულუფა. ფერმის ქათმებს გათენებისას გარეთ გამოუშვებდნენ და დაბინდებამდე ეზო-ეზო დადიოდნენ, რომ თავიანთი საკვები თვითონ ეშოვნათ, კვერცხსაც იქ დებდნენ, სადაც ამის დრო შემოესწრებოდათ. თვის ბოლოს ქათმები იკლებდნენ სათვალავში, რადგან კარდაკარ სიარულში იკარგებოდნენ. არც ეს გამოეპარა მხედველობიდან ახალ თავმჯდომარეს, საზრუნავად გადაქცია ფრინველის ფერმაც.

სოფელში სატვირთო მანქანები მიმოდიოდნენ. გარაჟეს სანახავად გაეშურა, რომ მანქანების მდგომარეობას გასცნობოდა. მაგრამ სად იყო გარაჟი. მანქანები ფეხ-ფეხ დმენისთან გაეერთიანებინ, სოფლის გული დმენისში იყო, კანტორაც და კლუბიც იქ აეშენებინ. მერე დმენისს გაეყოლარეთ და დიხეეს და კულბითს შეეერთოდნ. კანტორა ახლა კი-იქ აშენდა, ჩვენ ისევ მშრალზე დავრჩით. კანტორას ვინა ჩივის, ხეირიანი დარბაზი არ გაგვაჩნია, რომ კინო გვაჩვენონ. ეეჰ, — ამოიოხრა მან, — თავმჯდომარეები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, სოფელს კი არაფერი ეტყობოდა მათგან!..

მოხუცი კოლმეურნე მიზეზად იღებალს თვლიდა, სინამდვილეში კი ამის მიზეზი ადამიანია. კოლმეურნეობას ესაჭიროება პატიოსანი ადამიანი, ხალხისა და სოფლისათვის გულშემატკივარი ხელმძღვანელი.

ობერ გაუძლებდა კაცი მშიერი პიროტყვის ცქერას. დაყოვნება არც ერთი საათით არ შეიძლებოდა. ეასონმა მაშინვე მეზობლებს მიმართა — კულბინის კოლმეურნეობას, ერედვის საბჭოთა მეურნეობას. ბორის რაიონშიც გადავიდა, მეგობრები მონახა ერბეთში, დიცში, კარალეთში. ზნაურის რაიონშიც ეგულებოდა ადამიანები, რომელთაც კარგად ესმოდათ, რა არის პირუტყვის შიმშილი, ისიც ცივ და თოვლიან ზამთარში. ზოგს ნალა სთხოვა, ზოგს ნამჯა, ზოგს სილოსი, ზოგს ფულად გადაუხადა, ზოგს პირობა დაუდო გაზაფხულზე მათი საკონელი თავიანთ საძოვრებზე გაეშვა, ზოგისაგან სესხად წამოიღო საკვები და ასე ცხრაას სულ პირუტყვს მაისის დამლევამდე გააძღლებინა. საკონელზე ზრუნვა ამით არ დამთავრებულა. მაშინვე შეუდგა ბოსლის შენებას და ერთ თვეში უკვე გადახურული იყო ახალი ბინა სამასი სული პირუტყვისათვის.

ახლა კარდაკარ მოხეტიალე ქათმებს მიხედა. ფერმა სოფლის გარეთ გადატანა, სათიხის ჭალაში. კოლმეურნეებმა საკუთარი ხელით დაწნეს წიფლისა და თხილის წნელისაგან ასი მეტრი სიგრძის საქათმე. თვითონვე შელესეს და შიფერიც თვითონვე გადახურეს. ეს შენებლობა სულ რაღაც ხუთასი მანეთი დაჯდა, სამაგიეროდ ფრინველი საიმედოდ არის, ადარც კვერცხი იკარგება და ადარც ქათამი.

ახალი თავმჯდომარე ამას არ დასჯერდა. გადაწყვიტა მეურნეობის ეს დარგი უფრო მაღალ დონეზე აეყვანა, მით უმეტეს, რომ რაიონის ხელმძღვანელობამ ნინადადება მისცა ქსუსში მეფრინველეობა ერთ-ერთ წამყვან დარგად გადაექცია. ეასონმა იანვარში ხარკებიც გაითვალისწინა და შემოსავალიც, იგი კოლმეურნეობისათვის მომგებიან დარგად ჩათვალა და საქმეს შეუდგა. ინკუბატორიდან რვა ათასი წიწილა გამოიყვანა და ახლად აგებულ საქათმეში მოათავსა. ახლა ხუთასის ნაცვლად რვა ათას ხუთასი ფრთა ფრინველი ჰყავთ. მაგრამ მთავარი ის არის, რომ იმ ხუთას ფრთასაც ბარაქა დაეტყო. მოვლა გააძლიერა, საჭირო კონტროლი დაწესა და წელს უკვე მიჰყიდეს სახელმწიფოს 45 ათასი კვერცხი.

მალე კიდევ ექვსი ათას წიწილას გამოიყვანენ და ასე თანდათან გაზრდიან ამ მეტად ხელსაყრელ დარგს.

ქრისტესიაშვილმა ახლა იმ ბებერ გაბზარ ხეებს მიხედა, უსარგებლოდ რომ იყო ჩაჩხირული მშვენიერ ბაღებში. მთელი კვირის განმავლობაში ძირკვავდნენ მათ და სოფლის შუაგულში კარგა ბლომად დაგროვდა ხე-ტყის მასალა. არც დაუყოვნებია, მაშინვე დაახერხვინა. ფიცრებად აქცია და იქვე მანქანებისთვის გარაჟი შემოდა. ახლა კოლმეურნეობის ყველა მანქანა და იარაღი იქ არის თავმოყრილი. ასეა, კარგი მეურნე ვერ მოითმენს იარაღ-მანქანების გაფანტვას. ახლა საწვავიც მოგიოვებათ და მანქანების თვლებიც კოლმეურნეობისათვის ბრუნავენ.

კიდევ ერთი გადაუდებელი ამოცანა ხილის ბაღების გამოცოცხლება იყო. დადგა თუ არა თებერვალი, ჩადგა თუ არა ხეში წყალი, მაშინვე შეუდგნენ ხეხილის მოვლას, შეწამლეს, გასხლეს, ძირები შემოუბარეს, სასუქები შეიტანეს და გაზაფხულზე, როდესაც კვირტებმა ამოხეთქა, გაყვითლებული და დაღონებული ხეები გამოიცოცხლდნენ. იმედიანად გამოიხედეს. ქსუსის ბაღები ახლა საამაყოდ გამოიცქირნენ, წელს ხეხილი ისე იყო ხილით დატვირთული, რომ სიმძიმისგან ტოტები იმტვრეოდა. ტოტების მტვრევას ვინ ითვლიდა, პატარა ქარი რომ აშოვარდნილიყო, ხეებს ფესვებიანად ამოგდებდა. თუ კი შარშან ოცდაორი ცენტნერი ვაშლი მიიღეს ჰექტარზე, წელს სამოცდაათ ცენტნერს ვარაუდობენ.

სულ სხვაა ახლა ქსუსის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. მას შეუფრთდნენ მეზობელი კოლმეურნეობები — დმენისის, ნანიაურის, სათიხარის, დიხეეთის, კულბითის, ქვემო და ზემო ცარების, კოლეურის, ხელჩუაისი და სხვები. ამ სოფლების მიწაწყალი გადაკმეულია პატარა ლიახვის ხეობის მარცხენა მხარეს ოცდაათ კილომეტრ სიგრძეზე და თხუთმეტ კილომეტრ სიგანეზე. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში ყველაზე დიდი და ეკონომიურად ყველაზე ძლიერი კოლმეურნეობა ქსუსის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაა. წელს მისი ფულადი შემოსავალი ერთი მილიონ მანეთს გადაჭარბებს...

სიხარულს სიხარული ემატება, დოვლათს დოვლათი. შვიდწლედის მეხუთე წლის დადგომას ქსუსელები გამარჯვებებით ეგებებიან. მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს. გამარჯვებების ორკანონზომიერი კი ყველა საქმეში თავმჯდომარეა.

ქსუსელ ახალგაზრდებს გუშინ ზეიმი ჰქონდათ. ხილის დიდი მოსავალი მოიწიეს და ამბავგაგ ვ. ბ. მეკავანძის მისალოცი დეპეშა მიიღეს. მიტინგი გაემართეს სოფელში. ამ ამბით აღფრთოვანებულმა კოლმეურნეებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს. ეასონიც გამოვიდა ამ მიტინგზე. შრომის ფასი დიდია, შრომა სიხარულის მომნიჭებელიაო, ამბობს სოფლის თავკაცი და გულში სიამე ეღვრება.

რა ძალაა ის ძალა, რომელსაც ქრისტესიაშვილი იყენებს საკოლმეურნეო მშენებლობაში?

პატიოსნება, საზოგადოებრივის პირადულზე მაღლა დაყენება და უნარიანი, გონივრული, თავდადებული ხელმძღვანელობა.

ელიზბარ ზედგინიძე.

* * *

სურათზე: ი. ქრისტესიაშვილი.

ერთი გულუბრყვილობა, ერთი ეშმაკეული

ქინოფოლეტონი

თბილისის აეროდრომი. აეროპორტის დარბაზი. რადიო აცხადებს: „თვითმფრინავი № 46 თბილისი-მოსკოვი გაფრინდება 10 წუთის შემდეგ. ჩასხდომა დაიწყო". გასასვლელისაკენ მიეშურებიან ხელბარგიანი მგზავრები და გამცილებლები.

ალარში ყინა ქლაზე გამოჩნდება შუახნის დარბაისელი ქალი. გამცილებლებით გარშემორტყმული, იგი დიდად მიაბიჯებს გასასვლელისაკენ.

— ზინაიდა, შენი ჭირიმე, რაც შეიძლება მალე გამომიგზავნე სერგანტი.

— ჩემი შუბა არ დაგვიწყდეს, შემოგევლე, ამბობენ, დიდი ზამთარი იქნებაო.

— უმაციეროდ არ დამტოვო, შენ გენაცვალე, მომაგალ ზაფხულს დაიხრუკება ყველაფერი.

— საწოლი ოთახის გარნიტური, არ დამლუპო, ქალიშვილს ვათხოვებ.

ეხვევიან და ჩასძახიან გამცილებლები დარბაისელ ქალს ყოველი მხრიდან...

„ტუ-104" მიწას მოსწყდა. თვითმფრინავში თავის სავარძელში ზის ზინაიდა არაბიძე და მედიდურად გადმოჰყურებს თბილისს, იტყვით, ამ ქალს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალაბნადო.

წუთით ეკრანზე გაიელვებს აეროპორტზე დარჩენილი ზინაიდას გამცილებლების ნაცნობი სახეები. მლოცველებივით ზეცისაკენ ხელაპყრობილი დგანან და თვითმფრინავს გასცქერიან იმედის თვალით.

ზინაიდა კვლავ თავის სავარძელში ზის „ილოცეთ, ილოცეთ, ღმერთი მოიღებს მოწყალებას", — ამბობს მისი დამცინავი ღიმილი.

ზინაიდა ხსნის პორტფელს და დასტად ჩაწყობილ ფულს ამოალაგებს. „დავით მაღლაფერიძე" — აწერია ერთ დასტას, „გიორგი ჯაგაშვილი" — აწერია მეორეს, „ა. ალექსანდაძე", — „გ. ლომსაძე", „პ. ჯაბაშვილი"...

მოსკოვი. ცენტრალური ქუჩები, მაღაზიები, რესტორნები, კაფეები. ამ ფონზე ხან ზინაიდა არაბიძის სახე გამოჩნდება, ხან წითელი თუმნისანები, ლეგა ოცდახუთმანეთიანები, მომწყანო ორმოცდაათმანეთიანები... ფული ქალის ხელიდან იფანტება და ტკაცუნით, ფარფაცით, შრიალით ეფინება მთელ ქალაქს. ქალის სახე და მოფარფატე ფულები მალიმალ ცვლიან ერთმანეთს.

რუსთავი. საფოსტო განყოფილება. აქ თბილისის აეროდრომი. აეროპორტის დარბაზი. რადიო აცხადებს: „თვითმფრინავი № 46 თბილისი-მოსკოვი გაფრინდება 10 წუთის შემდეგ. ჩასხდომა დაიწყო". გასასვლელისაკენ მიეშურებიან ხელბარგიანი მგზავრები და გამცილებლები.

ალარში ყინა ქლაზე გამოჩნდება შუახნის დარბაისელი ქალი. გამცილებლებით გარშემორტყმული, იგი დიდად მიაბიჯებს გასასვლელისაკენ.

— ზინაიდა, შენი ჭირიმე, რაც შეიძლება მალე გამომიგზავნე სერგანტი.

— ჩემი შუბა არ დაგვიწყდეს, შემოგევლე, ამბობენ, დიდი ზამთარი იქნებაო.

— უმაციეროდ არ დამტოვო, შენ გენაცვალე, მომაგალ ზაფხულს დაიხრუკება ყველაფერი.

— საწოლი ოთახის გარნიტური, არ დამლუპო, ქალიშვილს ვათხოვებ.

ეხვევიან და ჩასძახიან გამცილებლები დარბაისელ ქალს ყოველი მხრიდან...

„ტუ-104" მიწას მოსწყდა. თვითმფრინავში თავის სავარძელში ზის ზინაიდა არაბიძე და მედიდურად გადმოჰყურებს თბილისს, იტყვით, ამ ქალს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალაბნადო.

წუთით ეკრანზე გაიელვებს აეროპორტზე დარჩენილი ზინაიდას გამცილებლების ნაცნობი სახეები. მლოცველებივით ზეცისაკენ ხელაპყრობილი დგანან და თვითმფრინავს გასცქერიან იმედის თვალით.

ზინაიდა კვლავ თავის სავარძელში ზის „ილოცეთ, ილოცეთ, ღმერთი მოიღებს მოწყალებას", — ამბობს მისი დამცინავი ღიმილი.

ზინაიდა ხსნის პორტფელს და დასტად ჩაწყობილ ფულს ამოალაგებს. „დავით მაღლაფერიძე" — აწერია ერთ დასტას, „გიორგი ჯაგაშვილი" — აწერია მეორეს, „ა. ალექსანდაძე", — „გ. ლომსაძე", „პ. ჯაბაშვილი"...

მოსკოვი. ცენტრალური ქუჩები, მაღაზიები, რესტორნები, კაფეები. ამ ფონზე ხან ზინაიდა არაბიძის სახე გამოჩნდება, ხან წითელი თუმნისანები, ლეგა ოცდახუთმანეთიანები, მომწყანო ორმოცდაათმანეთიანები... ფული ქალის ხელიდან იფანტება და ტკაცუნით, ფარფაცით, შრიალით ეფინება მთელ ქალაქს. ქალის სახე და მოფარფატე ფულები მალიმალ ცვლიან ერთმანეთს.

რუსთავი. საფოსტო განყოფილება. აქ არიან ჩვენი ნაცნობები — ჯაგაშვილი, ლექვინაძე, მაღლაფერიძე, ლომსაძე და სხვები, ისინი, რომლებმაც ზინაიდა დიდის ამბით გაეცილნეს თბილისის აეროდრომზე. ეს პატიოსანი მოქალაქეები მოლოდინითა და მუდარით სავსე თვალებს ფოსტის თანამშრომელს მიაპყრობენ და ეკითხებიან: „ჩემ სახელზე არადგრია მოსკოვიდან?"

— არა,— ამბობს ფოსტის თანამშრომელი და თითქოს ეს ერთი სიტყვა ნაგანით გასროლილი ტყვია ყოფილიყოს, ათი კაცი ერთად ეცემა ძირს: „ვაი ჩვენო სიმწრით ნაშოვნო ფულო."

არავინ არის მათი გამკითხავი. ბოლოს თვითონვე დაამშვიდებენ ერთმანეთს და წამოდგებიან.

— ვითომ მოგვატყუა? — კითხულობს ერთი.

— ღმერთო, ნუ გაგვწირავ! — ერთხმად აღმოხდება ყველას და რამდენიმე წყვილი ხელი კვლავ ვედრებით აღიმართება ზეცისაკენ. მაგრამ ამჯერად ცაში არც თვითმფრინავი ჩანს, არც ღმერთი, არც სხვა რამ იმედი. მხოლოდ ღრუბლები მიიწლაზნებიან...

მოსკოვი. ქალაქის ფონზე კვლავ გამოჩნდება ფოთლებივით მოშრიალე ფულები, ფულები და ზინაიდა არაბიძის ბედნიერი სახე.

რუსთავი. არაბიძეების ბინა. ზინაიდას მეუღლე იონა არაბიძე წევს. უცემ ყოველი მხრიდან ატყდება ბრახუნი, კაკუნი, ყვირილი. შეშინებული იონა ჩაცმასაც ვერ მოასწრებს, რომ კარებს შემოამტვრევენ. „მოგვეცით ჩვენი, აგვინაზღაურეთ" — შეშლილი სახით ბეთქავენ და გაადფრებული დაერევიან ავეჯს, ნივთებს... იონა იცნობს თავის მეუღლის — ზინაიდას მეგალეკენს და მორწყალად ბეჭედ ხელდაკრეფილი შესაცქერი, როგორ ცარიელდება ბინა. მეგალეკენმა დაინაწილეს და გაიტანეს მაცივარი, ტელევიზორი, სერვანტი, ჭურჭელი... „ეს რას გვიშველის, ეს არ აანაზღაურებს ვალს" — ზინაიდა არაბიძის მეუღლეს მიეარდებიან მაგრამ ხელადვე, რომ იონას მეტი არაფერი აქვს, და თავს დაანებებენ.

მთელ ეკრანს ფარავს ქალალდის ფურცელი. ადამიანის ხელი შავით თეთრზე წერს განცხადებებს. „ქ. რუსთავის სასახლის სამართლოს"... „ქ. რუსთავის პროკურატურას". შრიალებენ ქალალდები, ქალალდები, ქალალდები... დგება საქმე № 138500/141... მეორე უცემ ყველა ქალალდი და საქმე ერება და ეკრანზე გამოჩნდებიან რუსთავის პროკურატურის მუშაკები. აუკიდიათ უზარმაზარი კითხვის ნიშნები და მიათრევენ. კითხვის ნიშნები ტირიან, ცრემლებს აფრქვევენ და ეხვევიან პროკურატურის მუშაკებს: „ძირს ჩამოგვიდეთ, მოგვასვენეთ, თქვე მადლიანნო", ერთი მომცრო კითხვის ნიშანი ბაცაცარეული ეუბნება პროკურატურის გამომძიებელს: „ხომ ხედავთ, რომ ზინაიდა არაბიძე აფერისტია, გამომძალველია, სპეკულანტია, რატომ არ მისცემთ სამართალში ან მე რატომ მტანჯავთ", მაგრამ არავის ესმის კითხვის ნიშნების ხვეწნა და მუდარა. უფრო მეტიც: პროკურატურის თანამშრომელმა მოიცერა კითხვის ნიშნის დასჯა ინება თავხედობისათვის. არაბიძის საქმეზე დასვა და არქივში გადაუძახა...

მოტყუებული ადამიანები კი ელიან... თავიანთ ფულს და სამართალს...

ზ. მერკვილაძე,
მ. მიქაძე.

რაღაა იგი სინათლე...

კარგია ჩვენი სოფელი,
დიდია ჩვენი მიზნები
ვშენდებით, მუდამ წინ მივალთ,
შრომით ვმაღლდებით,
ვიზრდებით.
მაინც გვაქვს სასაყვედურო,
დიდჯიხაიშლებს სოფლადა.
ელექტროდენის საკითხი
არ იქნა, აღარ მოგვარდა,
დგას ერთი ტრანსფორმატორი,
ისიც ნახმარი, ძველია.
„რაღაა იგი სინათლე,
რასაცა ახლავს ბნელია?!"

ზ. ანდრიაძე.

დიდი ჯიხაიში.

რელიგია—გონების ბანგი

რელიგიის მსახურნი და მამდევრები, ღვთისმეტყველები და ფილოსოფიური იდეალისტების სკოლის წარმომადგენლები ირწმუნებიან, თითქოს რელიგიის მორალური ბეგრები და პრინციპები სულიერად და მორალურად ამაღლებდეს ადამიანს, უნერგავდეს მას ნამდვილ ჰუმანურ გრძნობებსა და იდეებს; ქრისტიანობა რომ არა, ადამიანები გაველურებოდნენ, ერმანელნს დაერეოდნენ და საზოგადოება დაიშლებოდაო, ამიტომ ნუ ერთმევთ ადამიანს რელიგიას, რადგან რელიგიასთან ერთად თქვენ მას ზნეობას, ადამიანობას ართმევთო.

რელიგია არის რწმენა ზებუნებრივი ძალებისადმი და თაყვანისცემა ამ ძალებისადმი. ყოველ რელიგიას ახასიათებს ღვთაებრიობის იდეა, რომელიც ამბობს: ყველაფერი ამ ქვეყნად შემქმნელია ღვთისაგან და მისი ნებიდან გამომდინარეობს. რწმენამ, რომ ყველაფერი ღვთის ნებით ხდება, რომ ღვთის გარეშე ღერი თმაც კი არ ჩამოვარდება თავიდან, დიდი ზიანი მიაყენა კაცობრიობას. ასეთმა რწმენამ მოადუნა ადამიანის ცნობიერება და ნებისყოფა, წარამარა ისინი არა მიზანშეწონილი საქმიანობისაკენ, არამედ ლოცვებისა და ღმერთთა თაყვანისცემისაკენ. ღვთის რწმენის დანერგვით რელიგია ანაბუნებს ადამიანს, ბოქაულ მის ძალებსა და მონაცემებს, აუძლურებს მის ნებისყოფას, განამტკიცებს მის სიბეჩავესა და უმწეობას. ვინც ეყრდნობა ღვთის ძალას, ის კარგავს ნდობას საკუთარი ძალებისადმი. ვისაც სწამს ღმერთი, მას არა სწამს საკუთარი თავი. ღვთაებრიობის იდეა კლავს ადამიანში ყოველგვარ აქტიურ საწყისს, არომეულ მას შემოქმედების უნარს და თაოსნობას, ყველა იმ ღირსებას, რაც საჭიროა მიწიერი ბედნიერების მოსაპოვებლად ბრძოლის წარმოებისათვის.

მართლაც, თუ ყოველივე ღვთის ნებით ხდება, ხოლო ღვთის ნება შეუცნობელი და გამოუკვლეველია, თუ ადამიანმა არ იცის და არც შეუძლია იცოდეს, რას მოუტანს მას ხვალინდელი დღე, რას უმზადებს ზენაარსი, მაშინ, ცხადია, ადამიანს ისღა დარჩენია, რომ ბრმად, შიშითა და ძრწოლით დაემორჩილოს თავის ბედს და უდრტვინველად აიტანოს ყოველივე გაწსაცდელი, რასაც განგება თავს დაატეხს.

მორწმუნის მთელი ცხოვრება ღვთის მოწყალებაზეა დაფუძნებული. საეკლესიო ღვთისმსახურების მთავარი მოტივი ადადგილი ზეციური მეფისადმი:

„უფალო შეგვეწყალე".

„შეგვიწყალ უფალო".

ბრა დაკვირდით მორწმუნეს, როგორ დამცირებულად და ბეჩავად გამოიყურება იგი, როცა მოწიწებითა და შიშით დგას ხატის წინ, წელამდე ქედს იხრის, მუხლთ იდრეკს, ემხობა, იატაკს შეეხლს ურტყამს, გულზე მუჭს იცემს და თვალცრემლიანი შეღაღადებს ზეცას მოწყალებას.

საიდან არის რელიგიაში ადამიანის ეს დამამცირებელი წესჩვეულებები?

დიდი დაკვირვება არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ ეს სამარცხვინო წესჩვეულებები წარმოადგენდნენ იმ დროის გადმონაშთებს, როცა ადამიანთა საზოგადოებაში მონობა და ბატონყმობა იყო დამკვიდრებული. როგორც მეფენი და დიდებულნი, მონათმფლობელნი და მემამულენი მოითხოვდნენ მორჩილებას, დაქვემდებარებას, ქედის მოხრასა და თაყვანისცემას, ასევე რელიგია და ეკლესია მოითხოვენ მორწმუნეთაგან ზეციური მეფეის წინაშე ქედის მოხრასა და თაყვანისცემას.

მაგრამ ის, ვინც ქედმოხრილია და მთელ თავის იმედებს მოწყალებაზე ამყარებს, საცოდავი არსებაა. ადამიანი, რომელსაც ყოველისშემძლე ღმერთი სწამს, პირქვე ემხობა თავისი ბედისა და ბედნების წინაშე, გრძნობს თავის უმწეობას და ეეედრება ზეცას მოწყალებას, ასეთი ადამიანი ჩვენი საზოგადოების უვარგისი წევრია. ჩვენი დროის აღზრდის პრინციპები მოითხოვს ადეზარდოთ გაბედული, ძლაყი, დამოუკიდებელი, თავის თავში დარწმუნებული ადამიანები, აქტიურიც მებრძოლნი, რომლებიც მოწოდებული �ერიან არა მხოლოდ იმისათვის, რომ ახსნან სამყარო, არამედ იმისათვისაც, რომ გარდაქმნან იგი, ადამიანები, რომელთაც ეკუთვნით უნარი ძალეთან ყოველგვარი ის სიძნელე, რაც ხელს უშლის ახალი, კომუნისტური საზოგადოების გამარჯვებისა და განმტკიცების საქმეს, რაც ხელს უშლის იმას, რომ ცხოვრება საამური, შეძლებული და ბედნიერი გახდეს. ღვთაებრიობის იდეა საფუძველშივე ეწინააღმდეგება ადამიანის დამოუკიდებლობისა და თავისუფალი განვითარების პრინციპებს. ღმერთის არსებობას ლოგიკურად მიეყოვართ ადამიანური თავისუფლების უარყოფასთან. ღვთაება უსპობს ადამიანს სიმხნევეს და ენერგიას, ნერგავს მასში ზიზღს საკუთარი თავისადმი, თავის დამცირების, დაქვემდებარების, მონური მორჩილების სულისკვეთებას. ყოველმა ადამიანმა, რომელიც ღმერთს ეთაყვანება, უარი უნდა თქვას თავის ადამიანურ უფლებებზე. რელიგიური იდეა ღვთის ყოვლისშემძლებლობის შესახებ ნერგავს მორწმუნეში ჯასიერ, ფატალისტურ დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი.

რელიგიაში ადამიანს თვალები იმისათვის აქვს, რომ არ ხედავდეს, ბრმა იყოს; ყურები იმისათვის აქვს, რომ არ ისმენდეს. ყრუ იყოს, გონება იმისათვის აქვს, რომ

თავის უფლება ანგოლის ხალხს

ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი. საკადესის კორესპონდენტი ლ. პონომარიოვი იუწყება:

გენერალური ასამბლეა პლენარულ სხდომებზე განაგრძობს ანგოლაში არსებული მდგომარეობის გაშუქებისათვის შექმნილი ქვეკომიტეტის მოხსენების განხილვას. გუშინდელ დილის სხდომაზე გამოვიდნენ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის, ფილიპინების, უკრაინის სს რესპუბლიკის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, მალის, ბულგარეთის, მარროკოსა და იუგოსლავიის წარმომადგენლები. დელეგატებმა ანი რეპრესიები ანგოლის ხალხის წინააღმდეგ. მან ერთსულოვნად მოუწოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სასწრაფოდ განსახორციელოს ღონისძიებანი იმისათვის, რომ ანგოლის ხალხმა მიიპოყოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

უკრაინის სს რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლ. ე. კიზიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ პორტუგალიის მთავრობა უწინდებურად უარს იტყვის ითანამშრომლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, მაშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებმა ასამბლეამ, თქვა მან, ყველაზე სასწრაფო ღონისძიების სახით, უნდა ურჩიოს ყველა საჭელმწიფოს, რომ თავი შეიკავონ პორტუგალიისათვის დახმარების გაწევისაგან, განსაკუთრებით იარაღის მიწოდებისაგან.

ტელეგრაფი გვაცნობებენ

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ უდიდეს ქვანახშირის შახტში, პენსილვანიის შტატში, გუშინ ძლიერი აფეთქება მოხდა. როგორც უცხოთის საინფორმაციო საგაზეთოები იუწყებიან, 86 მეშახტე ცოცხლად ჩაამარხა 220 მეტრ სიღრმეზე დედამიწის ზედაპირიდან. მათი ბედი არ არის ცნობილი. მაშველთა რაზმები ცდილობენ შეიღწიონ ზვავისა და ცეცხლის გავლით იმ ადგილამდე, სადაც მეშახტეები მუშაობდნენ.

ბონი. შსამინი გერმანიის გაზეთის კონცენტრაციამ მაერში რურის ოლქის რაიონში, გელზენკირხენის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) სამეფიანო ინსტიტუტის მოხანაცემების თანახმად, საგრძნობლად გადააჭარბა ზღვარს, რომელიც უსაშიშროა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. რაგორც დასახ საგანგებო იუწყება, გელზენკირხენსა და რურის ოლქის სხვა ქალაქების მცხოვრებნი ქუჩებში დადიან პირზე ცხვირსახოცაფარებულნი.

შეფორმი ნელდება

„სტივენსონის საქმის“ გამო

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკადესის კორესპონდენტი ლ. ვალერიანსკი იუწყება:

კუბელის პირადმა წერილმა სტივენსონისადმი, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი სრულ ნდობასს უცხადებს შეერთებული შტატების წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და მადლობას უხდის მას „ფრიად ძვირფასი რჩევისათვის“, დაამშვიდა გაზეთების ამბობენ „სტივენსონის საქმის“ გამო. ზოგიერთი გაზეთი, როგორც, მაგალითად, „უოლ-სტრიტ ჯორნელი“, კვლავ თავს ესხმის სტივენსონს. მაგრამ შეფორმი ნელდება, და, მეტ წილ მიმოხილველთა აზრით, სტივენსონი, უახლოეს ხანში მაინც, შეინარჩუნებს თავის ახლანდელ პოსტს.

მაგრამ „სტივენსონის საქმის“ გამო წამოჭრილ ზოგიერთ საკითხს ამომწურავი პასუხი როდი გასცეს.

გაზეთების შეხლა-შემოხლა, რომლის გაქანებაზე უკვე მარტოოდენ ის ფაქტი მიუთითებს, რომ მხოლოდ „ნიუ-იორკ პოსტმა“ ორ დღეში ამ საკითხს ექვსი ერთელი სტატია მიუძღვნა, ფაქტიურად თვით სტივენსონის გამო როდი წარმოებდა, თუმცა ამ კამპანიის ორგანიზაციორებს მისი სასლი სწყუროდათ. არსებითად, ბრძოლა წარმოებდა იმ საკითხის გარშემო, თუ როგორი უნდა იყოს შეერთებული შტატების შემდგომი საგარეო პოლიტიკა, უნდა იარონ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოლაპარაკების გზით თუ იარაღის ენერგიასა და სამხედრო ავანტიურების გზით. გაზეთებმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ სტივენსონს, ეს საკითხი რამდენადმე სხვა ფორმით დააყენეს: შეუძლია თუ არა ამერიკელს, რომელსაც სახელმწიფო პოსტი უკავია, მხარი დაუჭიროს საერთაშორისო უთანხმოებათა მოლაპარაკების გზით მოწესრიგებას, ისე რომ არ შესწიროს ამას თავისი მდგომარეობა?

საკითხი უსაფუძვლოდ როდი იყო დაყენებული. ბარტლეტისა და სტიუარტ ოლსოპის სტატიაში, „რომელიც „სატერდეი ივნინგ პოსტში“ გამოქვეყნდა და მთელი ხმაური გამოიწვია, ამტკიცებდნენ, რომ თითქოს უშიშროების ეროვნული საბჭოს საოდუმლო სხდომაზე კუბის ბლოკადის გამოცხადების წინ სტივენსონმა—ეროვნულმა პრეზიდენტის ყველა მრჩეველიდან — გაიღაშქრა ბლოკადის წინააღმდეგ.

სტატიაში მოყვანილი იყო „სტივენსონის არა თაყვანისმცემელი“ ოფიციალური პირის (რომლის ვინაობას არ ასახელებენ) სიტყვები რომ თითქოს „ედლაის სურს მიუნხენი“, ესე იგი ამერიკის შეერთებული შტატების „ქაბინეტლაცია“ საბჭოთა კავშირის წინაშე. ეს ფრაზა ხელზე დაიჭირა ყველა გაზეთმა, რომლებიც გამოდიან მოლაპარაკების წინააღმდეგ. და თითქოს გახდა ლოზუნგი კამპანიისა სტივენსონის წინააღმდეგ. მაგრამ „სატერდეი ივნინგ პოსტის“ იმავე სტატიაში ნათქვამი იყო, რომ პრეზიდენტის მრჩეველთა მოიგლმა ჯგუფმა იმავე თათბირზე მოითხოვა უფრო „მკაცრი“ ღონისძიებანი, ვიდრე ის, რაც პრეზიდენტმა განახორციელა.

ტელევიზიით გამოსვლის დროს სტივენსონმა უარყო ბარტლეტისა და ოლსოპის სტატიის ეს ნაწილი, რომელშიც ჩამოყალიბებულია მისი პოზიცია. სტივენსონმა განაცხადა, რომ იგი ენერგიულად უქერდა მხარს ბლოკადას, მაგრამ „წინააღმდეგი იყო კუბაში შეჭრისა, რაც დაკავშირებულია მსოფლიო თერმოიტომური ომის საფრთხესთან, მანამ გამოყენებულ არ იქნება გაერთიანებული ერების შეიარაღების შენარჩუნების მექანიზმი“.

მაგრამ მოელი „სტივენსონის საქმე“ უფრო მეტად საწინააღმდეგოს მოწმობს. ამ „საქმემ“ ყოველ შემთხვევაში ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არიან გავლენიანი წრეები, რომლებიც ილაშქრებენ მოლაპარაკების გზით სადავო საკითხთა გადაჭრის წინააღმდეგ.

ტანგანიკა

ინგლისის ყოფილი კოლონია ტანგანიკა, რომელიც დამოუკიდებელი გახდა ერთი წლის წინათ, 9 დეკემბერს რესპუბლიკად გამოცხადდება ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის შემადგენლობაში. ტანგანიკაში შემოღებულ იქნება მმართველობის პრეზიდენტული ფორმა.

ტანგანიკის რესპუბლიკა უდიდესი ქვეყანაა აღმოსავლეთ აფრიკაში, რომლის ფართობი უდრის საფრანგეთის, ჰოლანდიის, ბელგიის, შვეიცარიის, ლუქსემბურგისა და დასავლეთ გერმანიის ფართობს ერთად. მისი ტერიტორია უდრის 939 ათას კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა — 9,4 მილიონ კაცს. რესპუბლიკის დედაქალაქია დარეს-სალამი, რაც ნიშნავს „შვიდობის ნავსადგურს“.

ტანგანიკა სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა, რომელიც უმთავრესად აწარმოებს სიზალს (პირველი ადგილი მსოფლიოში), ბამბას, ყავას, ბანანს, ციტრუსებს. წიაღისეული სუსტად არის შესწავლილი. არის ალმასის, ოქროს, რკინის მადნის, ქვანახშირის, ტყვიის სპილენძისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის ბუდობები, სამთო მოპოვებითი მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგი — ალმასის მაღაროები ინგლისის კაპიტალის ხელშია.

ტანგანიკის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ჯულიუს კამბარაჯე ნიერერე, რომელიც მიმდინარე წლის 1 ნოემბერს აირჩიეს, სათავეში უდგას ტანგანიკის წამყვან პარტიას — ტანგანიკის აფრიკულ ეროვნულ კავშირს.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს განცხადება

ვაშინგტონი, 7 დეკემბერი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ, მეთვალყურეობა ცნობების თანახმად, სამი საბჭოთა გემი გავიდა კუბიდან და წაიღო 42 რეაქტიული „ილ-28“ ბომბდამშენი.

თანამდებობის პირებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა გემი „კრასნოგორსკი“, რომელზეც 15 ბომბდამშენი იყო, დაინახეს კუბის ჩრდილოეთ სანაპიროსთან, უფრო ადრე მათ გამოაცხადეს, რომ დაინახეს საბჭოთა გემი „კასიმოვი“, რომელზეც 15 თვითმფრინავი იყო, და გემი „ოხოტსკი“, რომელზეც 12 თვითმფრინავი იყო.

ოკტომბრის ბოლოს მძიმე დღეები განიცადა ჩვენმა კლასებამ, ამერიკელმა იმპერიალისტებმა ხელი აღმართეს პაპარა კუბის წინააღმდეგ. ბეღვზე ეკიდა მშვიდობის ბედი. კაცობრიობისათვის ამ საბედისწერო ჟამს ერთხელ კიდევ ნათლად გამოვლინდა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ძალა და სიდიადე. საბჭოთა კავშირის გრძნობამ, ჰუმანურმა პოზიციამ იხსნა მსოფლიო ატომური ომისაგან, გადაარჩინა და დაცვა მშვიდობის საქმე.

ქვემოთ მოთავსებულ მასალაში მოთხრობილია ამერიკელი ომის გაგიჟებლების შაგანელ ზრახვებზე თავისუფალი კუბის ჩაზფოზებისათვის. გადმოცემულია საოგარი ფსიქოზი და ისტერია, რაც „კუბის კრიზისის“ დღეებში სუფევდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

როცა მშვიდობა ბეწვზე ეკიდა

რეპორტაჟი ნიუ-იორკიდან

ბოგ ბრაუნი, ნიუ-იორკის ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტი, გაფთიდისას ქუჩაში რაღაც უცნაურმა ხმაურმა გამოაღვიძა. თვალი ჯერ კიდევ არ გაეხილა, რომ ბობი მიხვდა: მას ესმოდა მოტორების გუგუნი და ტანკების მეხლეტების ღრჭიალი. ფანჯრის ფარდა რომ გადასწია, ბობმა დაინახა ტანკებისა და სატვირთო ავტომანქანების კოლონა, რომლებშიც სხდომიან ჯარის ჯარისკაცები ისხდნენ. კოლონა გზატკეცილით სამხრეთისკენ, ზღვისკენ მიდიოდა.

ბობ ბრაუნი თავის შვებულებას ფლორიდაში, ქალაქ მაიამის ახლოს ატარებდა. ტანკების კოლონა სხვა ადგილას რომ დაენახა, ამას არაფრად არ ჩაგდებდა. მაგრამ ფლორიდა... ფლორიდის სამხრეთი ნაპირიდან კუბამდე სულ ოთხმოცდაათი მილია. და როცა ღიმ განმაელობაში ბრაუნის ფანჯრებს ტანკების შეექცა კოლონამ ჩაუარა, ბრაუნი მიხვდა, რომ მისი შვებულება გათავდა.

იმავე ღამეს ბობი მიფრინდა კუნძულზე, სადაც სამხედრო-საზღვაო ბაზა კი-უესტია. იგი აღარ ფიქრობენ ფოფილა აქ წინათ და კარგად იცნობდა ქალაქს. ნავსადგურისაკენ რომ გაემართა, ბობმა ტაქსი არ დაიქირავა, გადაწყვეტა ფეხით გაევლო. მალე სანაპიროზე იყო. იმან, რაც იქ დაინახა, გააოცა: სანაპიროზე ერთი მეზღვაურიც არ იყო. თვალსმომჭრელად კიაფობდნენ მრავალი ბარის რეკლამები, მაგრამ ბარებში არავინ იყო. ბარების თეთრწინსაფრიან პატრონებს სევდიანად დაეკრიფათ გულზე ხელი, ტროტუარზე კარებთან იდგნენ და ძალიან გასაქროდნენ. ზოგნი ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

— შუადღისას უკანასკნელი გემი წავიდა, — შემოესმა ბობს.

ზღვისკენ გაიხედა, მაგრამ ფრუდ მოგუგუნე წყვდიადში ვერაფერი ვერ დაინახა.

ბობი ცარიელ ბარში შეეიდა და დახლთან მბრძანე სკამზე ჩამოჯდა. მოხუცი ბარმენს კაცის შესვლა გაუხარდა. ჭიქაში ყინულის ნატრებს ყრიდა და უამბობდა:

— ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ საეჭვო რაღაც დაიწყო. ყველა გზა ჯარებით აივსო. ღღეს კი ხომალდები ზღვაში გავიდნენ. აქ ავიასდესანტო ნაწილები გადმოიყვანეს. მთელ ღამეს თვითმფრინავები არ გვაძინებდნენ. სტადიონზე რაღაც ბარაკებს აშენებენ. მანქანებიდან ეკლიანი მავთული გადმოაქვთ. რას ნიშნავს ეს? ეტყობა, ცუდი რაღაც იწყება. თქვენ როგორ ფიქრობთ, სერ?

ბობმა სიგარეტი მოსწია და მდუმარედ აიჩეჩა მხრები.

— ნუთუ კუბაზე შეჭრას აპირებენ? — რატომღაც ჩურჩულით ჰკითხა ბარმენმა.

ბრაუნმა კვლავ მხრები აიჩეჩა.

— მაშინ... მაშინ ჩვენი საქმე გათავებულია! — ხმამაღლა თქვა ბარმენმა და ჭიქა ვისკი დაისხა.

კედელზე ძველებური საათი ახრიალდა, ახუხულმა გუგულმა ციფერბლატის თავზე სარკმლიდან თავი გამოყო და შემინებულმა თორმეტჯერ „გუგუ“ დაიძახა. იწყებოდა ახალი დღე 1962 წლის 26 ოქტომბერი.

ვაშინგტონი კაშკაშა, მზიანი დილა იყო, ჩიკაგოში კი წვიმდა. რეპორტიორები შეკავშებული იყვნენ იმ ოტელის შესასვლელთან, სადაც ღამე გაათია პრეზიდენტმა კენედიმ. პრეზიდენტი აქ წინადღეს ჩამოვიდა, რომ სიტყვა წარმოთქვა დემოკრატიული პარტიის კანდიდატისთვის მხარისდასაჭერად. კონგრესის არჩევნებამდე ორ კვირაზე ცოტა მეტი დროდა დარჩენილიყო, და პრეზიდენტი ჩქარობდა რაც შეიძლება მეტი შტატი შემოეკლო. ასამდე ჟურნალისტი ახლდა პრეზიდენტს ამ მოგზაურობაში. ახლა წვიმაში იდგნენ და ოტელიდან მის გამოსვლას ელოდნენ.

პრეზიდენტის ნაცვლად კარებში მისი თანამშემწე გამოჩნდა. ხელში ფურცელი ქაღალდი ეჭირა, შიგ იხედებოდა და სხაპასხაპუპით გამოაცხადა, პრეზიდენტს ტემპერატურამ აუწია, იგი მოგზაურობას წყვეტს და საჩქაროდ ვაშინგტონში ბრუნდებაო. რეპორტიორები გუბეებისაც აღარ ერიდებოდნენ და უახლოეს ტელეფონებს მიაშურეს, რომ ვაშინგტონში მიმავალ თვითმფრინავებზე ბილეთები შეეკვეთათ.

შაბათი იყო, ის დღე, როცა ვაშინგტონში მთავრობის არც ერთი დაწესებულება არ მუშაობს. ეს იყო „ფიკ-ენდი“, როცა ათასობით დიდი და პატარა მოხელე თეთრი ქალთა პერანგებს ნაცვლად სპორტულ უსახელო პერანგებს იცვამს და ორშაბათამდე ქალაქგარეთ გადის, „უიკენდის“ დღეებში ვაშინგტონის ცენტრალური ქუჩები უკაცრიელი ხდება. იკეტება თეთრი სახლის ჭიშკარი, გიგანტური ფოლორცს მოგაგონებთ მანქანების სადგომი პენტაგონთან, განმარტოებული პოლიციელები მიმოდიან სახელმწიფო დეპარტამენტის ცარიელ შესასვლელებთან.

თეთრი სახლის ფართოდ გაღებულ ჭიშკრში ზედიზედ შედიოდნენ შავი ლიმუზინები, ზოგს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, ზოგს კი გენერლის მუნდირი. რეპორტიორები ყველას ვერ სცნობდნენ, იმიტომ რომ მცველებმა შესასვლელთან ფარნები გამოართეს, მიუხედავად ამისა, ჟურნალისტებმა შეამჩნიეს, რომ თეთრ სახლში გეოგრაფიული რუკების ოფლონები შეტანეს. აკრეფილ შეამჩნიეს, რომ პორტფელი, რომელიც ერთ-ერთ გენერალს მიეჭიდა, მარჯვენა ხელზე ფოლადის ხელბორკილით ჰქონდა მიმაგრებული. გენერალს სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ოთხი ზორაბი ეიჭაცი ახლდა. ასე გადაავლეთ ამერიკაში დოკუმენტები, რომლებიც მიღებულია წარწერით „ფრიად საიდუმლო“.

თათბირი თეთრ სახლში გრძელდებოდა. როცა მისი მონაწილენი შინ ბრუნდებოდნენ, ჟოსკენში ელაგა გაზეთები, რომლებსაც საღამოვის სუნი ასდიოდა. თვალში გეცემოდათ უზარმაზარი სათაურები: „მეტად სერიოზული რაღაც იხარშება ვაშინგტონის სამზარეულოში. რა არის ეს? კუბა, ბერლინი? ვიეტნამი? თუ ყველაფერი ერთბაშად?“

ეკვირას ამერიკა შეშფოთებამ მოიცვა. გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომ საიდუმლო თათბირები თეთრ სახლში ფურმე უკვე მეოელ კვირას მიმდინარეობდა. ფლორიდიდან იტყობინებოდნენ, რომ დიდი სამხედრო ძალები თავმოყრილია ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაპირზე. იქ გადაყვანილ იქნენ რაკეტენიც ავიასადესანტო დივიზია, საზღვაო ქვეითი ჯარის შენაერთი და ბომბდამშენთა სამი ესკადრილია. ცხადი გახდა, რომ მზადდებოდა შეჭრა კუბის წინააღმდეგ.

ორშაბათს შეშფოთება გაძლიერდა. კარიბის ზღვაში გავიდნენ ცაბეტი წყალქვეშა ნავი, კრეისერები და ავიანსები. საზღვაო ქვეითი ჯარის ორი ათასი ჯარისკაცი გაიგზავნა ამერიკის სამხედრო ბაზა გუანტანამოში, რომელიც კუბაზე მდებარეობს. ამავე დროს დაიწყო ბაზიდან ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების ევაკუაცია, მოსამზადებლად მათ სამოცი წუთი მისცეს. ტელევიზორებს ეკრანებზე ამერიკელებმა დაინახეს, როგორ გამოდიოდნენ მაიამის აეროდრომზე სატრანსპორტო თვითმფრინავებიდან ატირებული ქალები და შეშინებული ბავშვები, რომლებსაც ვერც კი მოესწროთ თავიანთ ქმრებსა და მამებს დამშვიდობებოდნენ.

ორშაბათ დილით მე გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში ვიყავი. გენერალური ასამბლეის სხდომათა დარბაზი თითქმის დაცარიელებულიყო. სამაგიეროდ კორიდორებსა და ჰოლებში ბევრი ხალხი ტრიალებდა. დელეგატები, სამდივნოს მუშაკები, ჟურნალისტები ერთმანეთს ხვდებოდნენ ერთი და იმავე ფრაზით: „რა ამბავია?“ დიპლომატებს თანამოსაუბრენი კუთხეში მიჰყავდათ, რაღაცას საიდუმლოდ ჩასჩურჩულებდნენ ერთმანეთს ყურში.

რადიოთი გამოაცხადეს, რომ პრეზიდენტის განკარგულებით ჩქარი სამხედრო ბომბდამშენები ქვეყნის სხვადასხვა მხარეს გაგზავნეს, რათა დედაქალაქში ჩაეყვანათ სენატის წევრები. მალე ტელევიზიაში დავინახეთ, რომ მოხუცი სენატორები სამხედრო მფრინავების დახმარებით იცვამდნენ კოსტიუმებს, რომლებთაც ზებგერითი თვითმფრინავების ეკიპაჟები ფრინავენ. სენატორები რიხიანად და ამავე დროს ალიან სასაცილოდ გამოიყურებოდნენ. ერთერთმა მათგანმა პირდაპირ ტელეკამერის ობიექტივს დაუბრიალა თვალები და ფეღდფეხელის ხმით იყვირა: „მე კიცი, რისთვისაც გვიბარებს პრეზიდენტი! მალე ისეთ რასმე მოისმენთ, რომ ის ადგილი გაგიოფლიანდებათ, რომლითაც ზიხართ!“.

ერთი წუთის შემდეგ ტელევიზიას სადგურებმა თავიანთი გადაცემები შეწყვიტეს, და აღელვებულმა დიკტორებმა გამოაცხადეს, საღამოს შვიდ საათზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი უაღრესად დადმნიშვნელოვან განცხადებას გაკეთებსო. ჩვენ საკადესის ნიუ-იორკის განყოფილებას მივაშურეთ.

ასოშიეიტედ პრესის ცათამბჯენის შესასვლელთან, სადაც მოთავსებულია საკადესის განყოფილებაც, ჟურნალისტებს ჩაადგმულია ტელეტაიპი, რომელიც ღღედღამ განუწყვეტლივ აკაკუნებს უკანასკნელ ცნობებს. ტელეტაიპთან გროვად იდგა ხალხი. როცა უფრო ახლოს მივედით, ჟოალდის ლენტზე დაეგანახეთ სტრიქონები: „სახელმწიფო მდივანმა რასკმა სასწრაფოდ მიიწვია თავისთან უცხოეთის ელჩები. პირველი მიწვეულია სსრ კავშირის ელჩი. ლონდონი“.

— ეს... ეს ხომ ომია! — წამოიძახა ხანშიშესულმა კაცმა, ტელეტაიპთან ყველაზე ახლოს რომ იდგა. მღელვარებისაგან ხმა უუყდებოდა.

შეკავალა და შეშინებულმა პირზე ხელები მიიფარა რომელიღაც ქალმა. ვიღაცამ დაიძახა: „ტაქსი! ტაქსი!“. ხალხი ახმაურდა, ამოძრავდა.

— მე ვიცი, — განაგრძო ხანშიშესულმა კაცმა, — როცა ელჩებს იბარებენ... ასე იწყება ომი...

როცა პრეზიდენტი ოვალური დარბაზიდან, სადაც საიდუმლო თათბირები ეწყო, მიემართებოდა კაბინეტში, რომელიც სასწრაფოდ გადაიქცეოს რადიოსატელევიზიო სტუდიად, ერთმა რეპორტიორმა ჰკითხა:

— რა არის ახალი, მისტერ პრეზიდენტ?

— ეს ძალიან საინტერესო დღე იყო, — გაიღიმა კენედიმ.

იგი მაგიდასთან სავარძელში ჩაჯდა, თვალებზე ხელი აიფარა პროექტორების თვალისმომჭრელი შუქისაგან. დასაცავად და მოისმინა საიდუმლო სასასხორის უფროსის მოხსენება იმის შესახებ, რომ ყველაფერი მზად არის თეთრი სახლის ევაკუაციისათვის მთების მიწისქვეშა ბუნკერებში (ვერტმფრინავები ფანჯარასთან მდელოზე მორიგეობდნენ, სატვირთო ავტომანქანები მეზობელ ქუჩაზე დგანან). შემდეგ პრეზიდენტთან მივიდა ტედ სორენსენი, რომლის მოვალეობასაც შეადგენს პრეზიდენტისათვის სიტყვების შეთხზვა. პრეზიდენტმა გამოართვა საქაღალდე, რომელშიც სიტყვის ტექსტი იყო და რამდენიმე მცირე შესწორება შეიტანა. პირადმა მდივანმა მისის ეფელინ ლინკოლნმა ამ დროს თმა დაუვარცხნა და ჰალსტუხი გაუსწორა. ერთი წუთის შემდეგ სატელევიზიო კამერაში წვიოელი ნათურა აენთო, პრეზიდენტი გასწორდა და ყურად წარმოთქვა პირველი სიტყვები.

პრეზიდენტმა კუბის ბლოკადა გამოაცხადა. მან სავსებით უეჭველი გახადა, რომ გაჩაღებულია მზადება კუბაზე შეჭრისათვის. აკრეფილი საბაბი ის იყო, რომ კუბა განამტკიცებს თავის თავდაცვას საბჭოთა იარაღის დახმარებით, პრეზიდენტმა ეს იარაღი „შეტევად“ იარაღად გამოაცხადა, თუმცა ჩინებული იცოდა: კუბაზე ამერიკის შეჭრის საფრთხე რომ არ იყოს, კუბელ ხალხს არავითარი იარაღი არ დასჭირდებოდა.

პრეზიდენტის გამოსვლიდან ერთი საათის შემდეგ თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მან ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალებს ბრძანება მისცა ღია ზღვაში გაიჩეროს კუბაზე მიმავალი ყველა უცხო გემი, გაჩხრიკონ და, თუ საჭირო აქნება, ჩაძირონ ისინი.

გვიან ღამით ქუჩაში გამოვედი, რომ ახალი გაზეთები მეყიდა. საგაზეთო კიოსკის დახლი ცარიელი იყო.

— უკვე სამი გამოშვება იყო, და ყველა რაღაც ხუთ წუთში გაიყიდა, — მიხსნიდა კიოსკის პატრონი. — არ სძინავთ... ელიან...

მხოლოდ ახლა დავინახე, რომ სახლების კედლებთან, შესასვლელებში, მაღაზიების რეკლამების ქვეშ მდუმარედ იდგნენ მამაკაცები ან ქალები. საათს ვიყურებდი. ისარი სამს უახლოვდებოდა, უნდა გამოვტყდე, მხოლოდ ამ წუთებში, მდუმარე, მკაცრ, გაზეთების მომლოდინე ადამიანებს რომ ვეუყურებდი, პირველად გავიგე ნამდვილად, თუ რა ღრმად შეშფოთებული იყო ამერიკა.

გაზეთების ახალი პარტია ცხოლოდ ოთხ საათზე მოიტანეს. „ჰერალდ ტრიბუნს“ ასეთი სათაური ჰქონდა: „ჩავძირავთ მათ!“ მეორე გაზეთში ნათქვამი იყო: „სავაჭრო გემები ოკეანის ტალღებს მიაპობენ და კუბისაკენ მიემართებიან, სადაც მათ შეხვდებიან ამერიკის სამხედრო ხომალდები, სადაც მათ მოელის შეჯახება, რომელიც შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს მთელი კაცობრიობისათვის“.

ერთ-ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა თქვა, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარება იმ დღეებს მოგაგონებდა, რომელიც წინ უძღოდა ამერიკის ჩაბმას მეორე მსოფლიო ომში.

— ისე ჰგავს, რომ მესამე მსოფლიო ომის ზღვრბლზე ვდგავართ, — თქვა მან და ღრმად ამოიოხრა.

იმ დღეებში ყველა ამერიკელი, ვასაკ ტრანზისტორული მიმღები ჰქონდა, არც მეტროში არ იშორებდა მას, არც სამუშაოზე, არც კინოში, ფეტერიებში სასადილო შესვენების დროს. ახალი ამბები ყოველ საათს უფრო და უფრო შემაშფოთებელი ხდებოდა, იტყობინებოდნენ, რომ საბჭოთა ფლოტილა ზღვაზე ჯარებით ავსებს ყველა გზას, მაიამის ყველა ოტელი სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცრებმა დაიკავეს. ქალაქგარეთ მოწყობილია სამხედრო-საველე ჰოსპიტლების კარავები. ბობ ბრაუნმა ბოლოს გამოარკვია, თუ რატომ გადმოჩქონდათ კი-უესტის სამხედრო-საზღვაო ბაზის სტადიონზე ეკლიანი მავთული, რომლის შესახებაც ბარის პატრონი უამბობდა.

ბობ ბრაუნი შეერწუნდა, როცა შეიტყო, რომ სტადიონზე შენდებოდა ბანაკი მომავალი სამხედრო ტყვეებისათვის.

„პირველი სროლა შეიძლება ნდალ ან ზეგ გაისმას“, — გადმოსცემდა ფლორიდიდან იუნაიტედ პრესის საკავშირო კორესპონდენტი. „მოვლენები გამალებით უმიძგვენ მსოფლიოს ომისაკენ“, — წერდა 25 ოქტომბერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მამომხილველი ულიანმ შანონი.

ნერვების დაძაბვის კამპანიამ, ეგონებ, ზღვარს მიაღწია. ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი ნელსონ როკფელერი ტელევიზიაში გამოვიდა და მოსახლეობას მოუწოდა მზად ყოფილიყო იმისათვის, რომ ატომგულის ბომბი, როგორც მან თქვა, „შესაძლოა, თავს დაატყდეს ნიუ-იორკს“.

ლოს-ანჯელოსში ხალხმა დაიწყო ბოფლებში ჩამოსხმული წყლის, კონსერვების, გალეტების შესყიდვა.

ომი! ამ სიტყვას სულ უფრო და უფრო ხშირად წარმოთქვამდნენ ხან ჩურჩულით, ხან ხმამაღლა, ხან გულისტკივილითა და მწუხარებით, ხან გულისწყრომითა და საძულვილით. ღამ-ღამობით შტირიან ბავშვები საწოლებში მშობლებს ეკვროდნენ, „ეროდა დაკვეთოთო“.

ლაგვა მომენტი, როცა გაზეთების რედაქტორებიც კი, რომლებიც შეგნებულად ავიცილებდნენ პანიკას, თვითონ შეშინდნენ. მათაც კი ეგონოთ, რომ მშვიდობა ბეწვზე ჰკიდია, რომ ეაშინგტონმა კაცობრიობა დააყენა უკანასკნელ ზღვართან, რომლის იქითაც თერმოიტომური კატასტროფაა. გაზეთების ფურცლებიდან გაისმა სევდიანი გოდება, მოვლენები კონტროლიდან გამოდის, მათი შეჩერება აღარ შეიძლებაო.

რომელ უცხოელ ჟურნალისტთანაც უნდა მქონოდა ლაპარაკი, თვითეული მათგანი მეკითხებოდა: „როგორ მონაქცევა მოსკოვი?“ მათ ოაცებდა ცნობები, რასაც გადმოსცემდნენ ამერიკელი კორესპონდენტები, რომლებიც მოსკოვიდან აუწყებოდნენ, რომ საბჭოთა კავშირში პანიკა არ არის, რომ საბჭოთა ადამიანებს სჯერათ თავიანთი მთავრობის სიბრძნე და მტკიცე რწმენით უყურებენ მომავალს, თუმცა შეგნებული აქვთ, თუ რაოდენ საშიში მდგომარეობა შეიქმნა.

 აი ისიც — ბლოკადა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში ვიყავით, როცა ადგილობრივი რადიოთი გამოაცხადეს. ჟურნალისტებს შეუძლიათ მიიღონ პირი ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხისა ბერტრან რასელის დეპეშაზეო. ჟურნალისტები სირბილით გაეშურნენ წერილის მისაღებად.

იმავე საღამოს ამერიკის გაზეთები გამოვიდნენ უზარმაზარი სათაურებით: „ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ ყველაფერს გაკაკეთებს, რათა არ დაუშვას ომი“, „მოსკოვი ამბობს, რომ პროვოკაციაზე არ წამოვიგებ“.

ამერიკელებმა კვირის განმავლობაში პირველად ამოისუნთქეს შვებით. „შვების გრძნობა მოეფო ჩვენი გვეყნის შუა აღმოსავლეთის რაიონებს, რომლებიც შეშფოთებული იყვნენ პრეზიდენტის მოკმედებით კუბის წინააღმდეგ, — წერდა მეორე დღეს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ პროვინციელ კორესპონდენტი. — მოსკოვიდან მიღებული ამბავი რომ შეიტყეს, ბევრნი თანდათან მშვიდდებიან და თავიანთ ჩვეულებრივ საქმეებს ჰკიდებენ ხელს. მათი თვალი კი მიპყრობილია ვაშინგტონზე, საიდანაც ახლა მოელიან ახალ ამბებს და იმედი აქვთ, რომ ეს კარგი ამბები იქნება“.

ამერიკის ზოგიერთი გაზეთის ფურცლებზე გაისმა ხმები, რომლებიც ვაშინგტონისაგან კეთილგონიერებას მოითხოვდნენ.

„ჩვენ მიერ კუბის ბლოკადა, თუმცა ჩვენ მას კარანტინი დავარქვით, — ომის აქტია, — განაცხადა ალეურმა მიმომხილველმა სტიუუნმა. — ჩვენ მეზობელი პატარა ქვეყნისაგან მოვითხოვთ იმის დემონტაჟს, რასაც ჩვენ შეტევიოს იარაღს ეუწოდებთ. მაგრამ ჩვენი მხრივ იმის ცდასაც კი არ მიგმართავთ, რომ გარანტია მივცეთ მას თავდასხმისაგან, არ ვაძლევთ მას გარანტიებს, რომ შეეწყვეტთ ძირგამომთხრილ საქმიანობას მის წინააღმდეგ. პირიქით, გავიძახით, რომ კუბის მთავრობასთან არავითარ მოლაპარაკებას არ გავმართავთ, არამედ განვაგრძობთ ჩვენს ცდას ძალით დავამეხოთ იგი. ეს სხვა არა არის რა, თუ არა მსოფლიო ატომური ომის გაჩაღება“.

ამბობენ, რომ ამერიკელი ჟურნალისტები, რომლებიც იმ დღეებში გარს ეხვიენენ თეთრ სახლს, სახელმწიფო დეპარტამენტსა და პენტაგონს, ტუალეტში წასვლასაც კი ვერ ბედავდნენ, რომ არ გამორჩენოდათ კუბაზე შეჭრის დაწყების გამოცხადება. რაც შეეხება ჟურნალისტებს ნიუ-იორკში, ისინი არც დღისით ტოვებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობას და არც ღამით. აქ 38-ე სართულზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელს უ ტანის კაბინეტში, დიპლომატების მოლაპარაკება წარმოებდ

„ბერიოზკა“ თბილისში

თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა სახელგანთქმული საბჭოთა ქორეოგრაფიული ანსამბლი **„ბერიოზკა“**. 7 დეკემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ანსამბლმა თავისი პირველი კონცერტი გამართა.

ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიოზკა“ 1948 წელს ჩამოყალიბდა. მისი პირველი პროგრამა დიდი არ ყოფილა. პროგრამაში წამყვანი ადგილი ეჭირა რუსულ ხალხურ ფერხულს „ბერიოზკას“, საიდანაც მომდინარეობს თვით ანსამბლის სახელწოდებაც. დღიდან დაარსებისა „ბერიოზკას“ უცვლელი მხატვრული ხელმძღვანელი და ცეკვების დამდგმელია რსფსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ნადეჟდა ნადეჟდინა.

ამ შესანიშნავი მხატვრული კოლექტივის ღრმა და ხალხური შემოქმედება გამოირჩევა თავისი პოეტურობით, ბრწყინვალე ოსტატობით, ცეკვის მაღალი კულტურით. ანსამბლი მოწოდებულია იყოს რუსი ხალხის მდიდარი ქორეოგრაფიული ფოლკლორის ჰეშმარიტი პროპაგანდისტი. სწორედ ამ დიდი ამოცანისადმი დაუცხრომელმა სამსახურმა მოუპოვა „ბერიოზკას“ ის საყოველთაო აღიარება და სიყვარული, რომლითაც იგი ჩვენს ქვეყანაში სარგებლობს.

თავისი არსებობის არცთუ ისე დიდი ისტორიის მანძილზე ანსამბლმა ტრიუმფალური გასტროლებით მოიარა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა. ამ დიდ წარმატებებს ანსამბლის მხატვრული კოლექტივი აღწევს დაუცხრომელი მუშაობით პროგრამის ყოველ ნომერზე, ტექნიკის დახვეწითა და სრულყოფით, ახალ-ახალი საინტერესო დადგმებით.

პირველი სპექტაკლის შემდეგ გაზეთ **„კომუნისტის“** კორესპონდენტი ესაუბრა ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელს **ნადეჟდა ნადეჟდინას**, რომელმაც თქვა:

— საქართველოში, კერძოდ თბილისში, უკანასკნელად 1953 წელს ვიყავით. მას შემდეგ ზოგიერთი რამ შეიცვალა ჩვენს ანსამბლში. მთავარი სიახლე ახლა ის არის, რომ თუ მაშინ ჩვენს კოლექტივში მხოლოდ ქალები იყვნენ გაერთიანებული, ახლა გვყავს ვაჟებიც. ანსამბლში ვაჟების მოსვლით მისი პროფილი არ შეცვლილა. განწყობილებითა და ხასიათით „ბერიოზკა“ ისევ ქალთა ანსამბლი დარჩა. ვაჟების მონაწილეობა ცეკვებში ხელს უწყობს მათი ლირიკული და პოეტური ხასიათის მკვეთრად გამოხატვას, ამასთანავე მრავალფეროვნება შეაქვს პროგრამაში.

გარკვეული ცვლილება მოხდა მუსიკალურ გაფორმებაშიც. ახლა ჩვენ გვყავს რუსულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს დირიჟორი ალ. ილინი. კოლორატული და ღრმად ეროვნულია კოსტიუმები მხატვარ ლ. სილიჩის შესრულებით.

დიდი ხანი არ არის, რაც დავბრუნდით ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობიდან, სადაც მთელი ოთხთვენახევარი დავყოვნდით. ამ ხნის განმავლობაში ათ ქვეყანაში გავმართეთ 114 სპექტაკლი.

მოგზაურობისას ძალიან რთული და ძნელი მუშაობა მოგვიხდა. ხშირად გვიხდებოდა ადგილის შეცვლა. „გავიარეთ“ თითქმის 72 ათასი საჰაერო კილომეტრი. ყველგან, სადაც კი გამოსვლა გვიხდებოდა — ბრაზილია იქნებოდა თუ, არგენტინა, ურუგვაი, პანამა, ეკვადორი, კოლუმბია თუ კუნძული კიურასაო, სიყვარულით და მეგობრულად გვხვდებოდნენ უბრალო ადამიანები. განსაკუთრებით მიხდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნები დიდი სიმპათიით არიან გამსჭვალული საბჭოთა კავშირისადმი. ადამიანები ისწრაფვიან სხვადასხვა ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობისაკენ, მეგობრობისა და მშვიდობისაკენ — ეს არის ერთ-ერთი მთავარი და სასიამოვნო მოვალეობა.

ალბათ თქვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, მაგრამ მე მაინც მინდა აღვნიშნო, რომ „ბერიოზკა“ პირველი საბჭოთა კოლექტივია, რომელსაც 1959 წელს სტოკჰოლმში გამართულ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საიუბილეო სესიაზე მიენიჭა დიდი ოქროს მედალი „მშვიდობისათვის“.

უცხო ქვეყნებში საგასტროლოდ მოგზაურობა და იქ რუსული ხალხური ქორეოგრაფიის პროპაგანდა კარგი საქმეა, მაგრამ ჩვენს მთავარ ამოცანად მიგვაჩნია, რომ ანსამბლი თავისი ხელოვნებით ემსახურებოდეს საბჭოთა კავშირის ხალხებს. თბილისსაც ამ მიზნით ვეესტუმრეთ. საქართველო ცნობილია თავისი მდიდარი ხალხური ცეკვებით. ქართველებს უყვართ თავიანთი ხალხური შემოქმედება. ამასთანავე ისინი დიდად აფასებენ სხვა მოძმე ხალხების და კერძოდ, რუსი ხალხის მდიდარ ქორეოგრაფიულ ფოლკლორს. ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენი პირველი კონცერტი. ის დიდი გულისხმიერება, სიყვარული და აღფრთოვანება, რითაც თბილისელი მაყურებლები შეხვდნენ „ბერიოზკას“ პირველ კონცერტს, განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩვენი ანსამბლის თვითეული წევრისათვის.

• • •

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა აგრეთვე ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს **ვ. ტაბლიაშვილს**, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს **მ. ზნამენსკაიას, თ. სანაძეს** და **რ. მაჩაიძეს** და სთხოვა გაზეთის მკითხველებისათვის გაეზიარებინათ თავიანთი მთამბეჭდილებანი.

ვახტანგ ტაბლიაშვილი: — როგორია ჩემი შთაბეჭდილება?! **გეტყვით** მოკლედ: უბრალოდ რომ ვთქვათ, „ბერიოზკას“ სპექტაკლი ძალიან ლამაზი, ამაღლებული, რომანტიკული სანახაობაა. რუსი ხალხის სული დანახულია დიდი პოეტურობით და გადმოცემულია ქორეოგრაფიის ენით დახვეწილი, ნატიფი ოსტატობით, მაღალი გემოვნებით. იგრძნობა დამდგმელის მახვილი თვალი, ცეკვები გამსჭვალულია ჭეშმარიტი რუსული ხალხური ლირიზმით.

მარინა ზნამენსკაია: — სახელგანთქმული „ბერიოზკას“ პირველმა კონცერტმა წარმატებით ჩაიარა. გაგვახარა ანსამბლის შესანიშნავმა პროგრამამ. კარგია, რომ ამჟამად ანსამბლში ვაჟთა ჯგუფიც მონაწილეობს. სიმღერები, რომლებიც თან ახლავს ზოგიერთ ცეკვას, ძალიან აცოცხლებენ მთელ წარმოდგენას. რამდენადმე გული დამწყდა, რომ ამჯერად სტუმრების პროგრამაში ვერ ვნახე „ლებიოდუშკი“ და ახალგაზრდული ცეკვა.

თენგიზ სანაძე: — დიდ აღფრთოვანებას უპირველესად ანსამბლის ლობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს **ვ. ტაბლიაშვილს**, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს **მ. ზნამენსკაიას, თ. სანაძეს** და **რ. მაჩაიძეს** და სთხოვა გაზეთის მკითხველებისათვის გაეზიარებინათ თავიანთი მთამბეჭდილებანი.

ვახტანგ ტაბლიაშვილი: — როგორია ჩემი შთაბეჭდილება?! **გეტყვით** მოკლედ: უბრალოდ რომ ვთქვათ, „ბერიოზკას“ სპექტაკლი ძალიან ლამაზი, ამაღლებული, რომანტიკული სანახაობაა. რუსი ხალხის სული დანახულია დიდი პოეტურობით და გადმოცემულია ქორეოგრაფიის ენით დახვეწილი, ნატიფი ოსტატობით, მაღალი გემოვნებით. იგრძნობა დამდგმელის მახვილი თვალი, ცეკვები გამსჭვალულია ჭეშმარიტი რუსული ხალხური ლირიზმით.

მარინა ზნამენსკაია: — სახელგანთქმული „ბერიოზკას“ პირველმა კონცერტმა წარმატებით ჩაიარა. გაგვახარა ანსამბლის შესანიშნავმა პროგრამამ. კარგია, რომ ამჟამად ანსამბლში ვაჟთა ჯგუფიც მონაწილეობს. სიმღერები, რომლებიც თან ახლავს ზოგიერთ ცეკვას, ძალიან აცოცხლებენ მთელ წარმოდგენას. რამდენადმე გული დამწყდა, რომ ამჯერად სტუმრების პროგრამაში ვერ ვნახე „ლებიოდუშკი“ და ახალგაზრდული ცეკვა.

თენგიზ სანაძე: — დიდ აღფრთოვანებას უპირველესად ანსამბლის

სურათებზე: სცენები ანსამბლ „ბერიოზკას“ წარმოდგენიდან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

გათუმიდან გვატყობინებენ

ხომალდი—სკოლა ხომალდი-სკოლა, ასე უწოდებენ პატარა გემს, რომელიც ერთი წელია უშიშრად დაცურავს ზღვებსა და ოკეანეებში. იგი კარგად ეხმარება საზღვაო სამსახურის მომავალ სპეციალისტებს. გემზე უკვე შეიძინა მეზღვაურისათვის საჭირო ჩვევები ოდესის, ტალინის, ლენინგრადის, რიგისა და ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლების ასობით კურსანტმა.

„ჰორიზონტის“ (ასე ეწოდება ამ გემს) გემბანზე, უახლესი მექანიზმებითა და აპარატურით აღჭურვილ სასწავლო პუნქტებსა და სამანქანე განყოფილებებში, ამჯერად პრაქტიკას გადიან ლენინგრადისა და ოდესის საზღვაოსნო სასწავლებლების კურსანტები — მომავალი მოტორისტები, მატროსები და მეკავშირეები.

პროსპექტი-მეგზური გამომცემლობამ „მორს�ტრანსპორტმა“ გამოუშვა ფერადი პროსპექტი — „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“. იგი შეიცავს საინტერესო ცნობებს აჭარის ახალ რესპუბლიკაზე, ქალაქ ბათუმზე, სახელგანთქმულ ზღვისპირა კურორტებზე.

პროსპექტი ლიდ დახმარებას გაუწევს ტურისტებსა და აქ ჩამოსულ სტუმრებს.

ბორის სპასკის სამი პარტია

ერევანი 8 დეკემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. გროსმაისტერმა სპასკიმ ამ დღეს სატურნირო ცხრილში 2,5 ქულა ჩაიწერა, დაამარცხა შიანოვსკი და ტალმანოვი და ბრძოლის განუახლებლად ყაიმზე შეუთანხმდა ხოდოსს. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ 9 ტურში სპასკიმ 7 ქულა შეაგროვა.

ხოლმოვმა მოუგო სავონს, არონინმა — მნაცაკანიანს, სუეტინმა — სავონს, კოცემა — ბანიკს, კროგიუსმა — მნაცაკანიანს. შტეინ-ტალიმანოვი ყაიმზე შეთანხმდნენ. თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ ხოლმოვ-ნოვოპაშინი.

12 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში 6 გროსმაისტერი შედის. ვ. კორჩნოის 10 ქულა აქვს, მ. ტალსა და რ. ხოლმოვს. — 8,5 ქულა თვითეულს, ლ. შტეინს — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. ტალიმანოვსა და ბ. სპასკის — შვიდნახევარ-შვიდნახევარი ქულა.

9 დეკემბერს ჩემპიონატის მონაწილეები ისვენებენ, 10 დეკემბერს შედგება მე-13 ტური, სადაც მთავარ ყურადღებას იპყრობს კორჩნოისა და სპასკის პარტია.

ა. კოტოვი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ლიდერის კვალდაკვალ

ქალთა საპადრაკო ჩემპიონატში დღითი-დღე იცვლება „ამინდი“. თუ აქამდე რიგში თითქმის ერთხმად გამარჯვებას და მასთან ერთად ოქროს მედალს ლენინგრადელ საერთაშორისო ოსტატს ლ. ვოლპერტს უწინასწარმეტყველებდნენ, ახლა მდგომარეობა თვალსაჩინოდ შეიცვალა, ლიდერს კვალდაკვალ მისდევენ მეტოქეები და მალე შესაძლოა სატურნირო ცხრილის სათავეს რომელიმე სხვა მოშაჯრაკე აღმოჩნდეს.

გათამაშების ცხრილში მეტი სიცხადის შესატანად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 12 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებას, პირველ რიგში კ. ტ. ზატულოვსკაიას ორი დაუთამავრებელი პარტიის შედეგებს.

მართალია, მინსკელი საერთაშორისო ოსტატი კ. ზვორიკინა ბევრს ეცადა როგორმე გადაერჩინა ტ. ზატულოვსკაიასთან არსასარბიელო მდგომარეობაში გადადებული პარტია, მაგრამ უშედეგოდ — მალე იგი იძულებული გახდა ფარხმალი დაეყარა. მეორე პარტია ტ. ზატულოვსკაიასა და ლ. იაკირს შორის არ გათამაშებულა. მოგების შემთხვევაში ტ. ზატულოვსკაია ეწევა ლიდერს — ლ. ვოლპერტს.

12 ტურის შემდეგ ლ. ვოლპერტს 8,5 ქულა აქვს, ტ. ზატულოვსკაიასა და ლ. იაკირს — შვიდნახევარ-შვიდნახევარი ქულა და თითო გადადებული პარტია, კ. ზვორიკინას — 7,5 ქულა.

მოსკოვის დინამოელები იაპონიაში

მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივმა, რომელიც იაპონიაში გამოდის, გამართა რიგგარეშე მატჩი კ. ნაგოიას ერთ-ერთი რაიონის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 5:0.

„კოლმეურნისა“ და „უროკის“ გუნდების ორთაბრძოლაში

ფიქსირებულ იქნა ანგარიში 17:8 საქართველოს მოჭიდავეთა სასარგებლოდ. მონასელიძემ გაიმარჯვა ქულებით, კვეტაძემ დამარცხდა 6 წუთსა და 17 წამში, ხოხაშვილმა წმინდა გამარჯვება მოიპოვა, ცხოვრებოვმა გაიმარჯვა ქულებით, ძიმისტარიშვილმა პირველ წუთებშივე მოიპოვა გამარჯვება, გზირიშვილმა წარუმატებლობა განიცადა, მძიმე წონის მოჭიდავეები პასიური ბრძოლისათვის მოიხსნენ.

და აი გუშინდელი საღამოს ცენტრალური სპორტრეზიდა „ბურევესტნიკის“ და საბჭოთა არმიის მოჭიდავეთა შორის. სტარტი „ბურევესტნიკის“ გუნდისათვის არასახარბიელო აღმოჩნდა, არმიელმა სპორტსმენებმა ჯამიოლოგმა და კვეტრიკოვმა ორი წმინდა გამარჯვება მოიპოვეს ზედიზედ. ასეთ ვითარებაში მთელი პასუხისმგებლობა დაკისრებული ჰქონდათ „ბურევესტნიკის“ გუნდის მომდევნო 3 წონითი კატეგორიის მოჭიდავეებს — რუბაშვილს, ბერიაშვილსა და საღარაძეს. ეს ამოცანა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ბრწყინვალედ გადაწყვიტეს და დაამარცხეს მეტოქეები პტიცინი, გუსეგი და გორბატენკო. პტიცინი მოიხსნა შეჯიბრებიდან მაშინ, როდესაც რუბაშვილს 9 ქულა ჰქონდა, ბერიაშვილმა და საღარაძემ კი წმინდად მოიგეს.

მომდევნო წონაში ბურევესტნიკელი ლეტუნი მოიხსნა და გამარჯვება ალბულს მიეკუთვნა. ანგარიში გათანაბრდა 12:12. ქვემძიმე წონაში „ბურევესტნიკის“ მორიგი გამარჯვება ჩაეწერა, ხოლო მძიმე წონის მოჭიდავეების მედგადისა და ივანიცკის ორთაბრძოლაში ფიქსირებულ იქნა ფრე.

ამრიგად, გაიმარჯვა „ბურევესტნიკის“ გუნდმა 18:14, რომელიც ჩემპიონობის რეალურ შანსებს ინარჩუნებს.

• • •

ხალიჩაზე არიან „სპარტაკისა“ და საბჭოთა არმიის მოჭიდავეები გ. გობეჯიშვილი (მარჯვნივ) და ა. ალბული.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

დღეს ლაიპციგში

დღეს სსრ კავშირის ჩემპიონი თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა კოლექტივი სტარტს იღებს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. იგი ლაიპციგში შეხვდება ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონს ლაიპციგის ფიზკულტურის უმაღლესი სასწავლებლის ხელბურთელებს.

მატჩი „სანტოსთან“ — 10 დეკემბერს

როგორც ცნობილია სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები გუნდი მსოფლიო ჩემპიონის ქვეყანაში — ბრაზილიაში იმყოფება. რიო-დე-ჟანეიროდან საბჭოთა ფეხბურთელები სან-პაულოში გაემგზავრნენ, სადაც პირველი საერთაშორისო მატჩი ექნებათ ბრაზილიის ცნობილ საკლუბო გუნდთან „სანტოსთან“, რომლის რიგებში არიან ფეხბურთის „ვარსკვლავები“ პელე, კუტინიო და სხვ.

ჩვენი ოლიმპიური ნაკრების და „სანტოსის“ მატჩი შედგება ხვალ 10 დეკემბერს.

ორი გამარჯვება

კაუნასში, სვერდლოვსკსა და კიევში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ზამთრის საკავშირო ტურნირის პირველი ეტაპი.

კაუნასში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა თბილისის „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ გუნდებმა უკანასკნელ მატჩებში წარმატებას მიაღწიეს, დამარცხეს დუშანბეს „ტაჯიკისტანი“ და ფრუნზეს „ბურევესტნიკი“ ანგარიშით 81 : 71 და 70 : 61.

ამ ჯგუფში ოთხ-ოთხი ქულით პირველ ორ ადგილზე არიან ლენინგრადის „სპარტაკი“ და კაუნასის „ჟალგირისი“. თბილისის „ბურევესტნიკსა“ და „დინამოს“ სამ-სამი ქულა აქვთ.

სვერდლოვსკისა და კიევის ჯგუფში ლიდერები არიან სვერდლოვსკის „ურალმაში“ და კიევის სკა, რომლებსაც ხუთ-ხუთი ქულა აქვთ.

ტურნე დამთავრდა

საზღვარგარეთ გამოსვლები დამთავრეს „ტორპედოს“, „შახტიორისა“ და „მოლდოვას“ ფეხბურთელთა გუნდებმა.

წარმატებით დამთავრა ტურნე მოლდავეთის გუნდმა ვიეტნამში: სამი შეხვედრა მიიგო, ხოლო მეოთხე — სახალხო არმიის ნაკრებთან დამთავრა ფრედ — 0:0. „მოლდოვას“ ბურთების შეფარდებაც საუკეთესო აქვს — 21:1.

იუგოსლავიაში ათ დღეს იყვნენ სსრ კავშირის თასის მფლობელები „შახტიორის“ ფეხბურთელები. უკანასკნელი მატჩი ქალაქ პრიშტინის გუნდთან მათ მოიგეს ანგარიშით 5:3. დონეცკელებსაც დადებითი შედეგი აქვთ — ორი გამარჯვება და ერთი წაგება.

მოსკოვის „ტორპედო“ შოტლანდიიდან მეტად არასასიამოვნო მოგონებებით ჩამოდის: ავტოქარხნელებმა სამი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგეს. შოტლანდიის ჩემპიონთან გამარჯვება უთუოდ საპატიოა, მაგრამ შემდგომი დამარცხებანი მეტად არასასიამოვნოა ავტოქარხნელთა თაყვანისმცემლებისათვის, განსაკუთრებით უკანასკნელი დამარცხება ედინბურგში „ჰარტის“ კლუბთან მათ წააგეს ანგარიშით 0:6 (0:2). (საკდესი).

ეს მოხდა საგანოში

ღამის პირველი საათი იყო. სოფელში ყველას ეძინა. ჭიათურაში მიმავალი ფოთის მანქანა გაზ-51, რომელსაც მძღოლი გურამ ტიკარაძე მართავდა, ზედა საზნოს ღვინის ქარხანასთან შეჩერდა. ტიკარაძემ მოულოდნელად შენიშნა ცეცხლი, რომელიც სახლის ქვეშ დაწყობილ შეშას ეკიდა და იქიდან მთელ სახლს ედებოდა. ამ სახლში კოლმეურნეობის თავმჯდომარე აკაკი ჩუბინიძე ცხოვრობდა. მძღოლმა ყვირილი ატეხა.

ხმაურზე გარეთ გამოვარდა აკაკი ჩუბინიძე, მან შეამჩნია, რომ სახლი მთლიანად ცეცხლის ალში იყო გახვეული და სასწრაფოდ გამოიყვანა ოჯახის წევრები.

ამასობაში სახლიც ჩაინგრა. ფოთელი მძღოლის გ. ტიკარაძის გულისხმიერებით დაწვას გადარჩა 7 ადამიანი. მალე შემთხვევის ადგილას გაჩნდა სახანძრო რაზმი. მათ ჩააქრეს ხანძარი და ამით გადაარჩინეს მეზობლად მდებარე ღვინის ქარხანა.

ვ. კუტალაძე.

„ვოლგა“, „მოსკვიჩი“ ელოდებიან მფლობელთა

ამ დღეებში განსაკუთრებული გამოცოცხლებაა შემნახველ სალაროებში. საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1962 წლის მეოთხე გამოშვების ლატარიის ბილეთების მფლობელები ტირაჟით გათამაშებულ მოგებას იღებენ.

ცხრილის გამოქვეყნების პირველსავე დღეს შემნახველმა სალაროებმა ათასზე მეტი ფულადი და ნივთმოგება გაანაღდეს.

სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამამთავრებელმა გურამ გოცაძემ წარადგინა ბილეთი, რომელსაც ხვდა ავტომანქანა „მოსკვიჩი“. ასეთივე მოგება ხვდათ გორის რაიონის სოფელ მარეთის საშუალო სკოლის პედაგოგს ირაკლი ინაურს, საქართველოს სსრ პროფსაბჭოს თანამშრომელს ანტონ დედაბრიშვილს.

ყველაზე დიდი მოგება — ავტომანქანა „ვოლგა“ ხვდა უსინათლოთა საზოგადოების წარმომხელ ოსტატს ავთანდილ ხვედელიანის ბილეთს.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში შემნახველი სალაროები და საველჩრო ორგანიზაციები მასობრივად აწარმოებენ ლატარიის ბილეთებით მოგებათა განაღდებას.

თბილისის ავტომანქანების მაღაზიაში ბედნიერ მფლობელთ უკვე ქლოდება 16 ავტომანქანა „მოსკვიჩი“ და 4 „ვოლგა“.

ა. შტეინბერგი.

თეატრის დედა

ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე დიდმა ილია ჭავჭავაძემ ქართველი მოწინავე ინტელიგენციით სავსე საკონკურსო დარბაზში, დრამატული საზოგადოების მიერ გამართულ გამოცდებზე, თავისი უტყუარი გემანით საგამოცდო ფურცელზე წააწერა: „დავითაშვილის ქალი უთუოდ უნდა იქნეს დასში მიღებული“. აკაკი წერეთელმა კი იმედითა და შიშით ათრთოლებულ ახალგაზრდა ქალს პროფესიული ქართული თეატრის გზა დაულოცა.

1905 წლის რევოლუციის წინადღიდან ნინო დავითაშვილი ქუთაისის თეატრშია. ეს სახელოვანი თეატრი და მისი მედროშე ლაზი მესხიშვილი თავისუფლებისათვის. მებრძოლთა ავანგარდში იდგნენ. არსებული წყობილებისადმი პროტესტის მწვავე გრძნობამ ერთიან საბრძოლო კოლექტივად შეკრა თეატრის მთელი დასი და აქტიურად ჩაება რევოლუციის აზვირთებაში. ასეთი ატმოსფერო საუკეთესო ბრძმედი იყო რადიკალურად მოაზროვნე წრეში აღზრდილი ქალისათვის. მართლაც აქ იყო მისი ადგილი.

ასე მაღლმოსილი გზით დაიწყო მოღვაწეობა ნინო დავითაშვილმა, რომელიც შემოქმედებით ქარტეხილებში ქართული სცენის შესანიშნავ მსახიობად გამოიწრთო. მან ქედმოუხრელად მოიტანა ძველი თეატრის საუკეთესო ტრადიციები და ჩინებულად დაუკავშირა იგი საბჭოთა თეატრის ბრწყინვალე მიღწევებს.

ნინო დავითაშვილმა რევოლუციამდელი ქართული თეატრის სცენაზე ასამდე როლი განასახიერა. მას არასოდეს არ შეურცხვენია პროფესიული და მოქალქეობრივი სინდისი. წლიდან წლამდე, როლიდან როლში განუხრელად იზრდებოდა როგორც მსახიობი, ბევრი სახე შექმნა სანაქებო და სასახელო: კრუჩინინა, ივდითი, ამალია, ქეთევანი, ზეინაბი, მარია ანტონოვნა, გაიანე, როზა ბერნდი და მრავალი სხვა.

ქართულ საბჭოთა თეატრში ნინო დავითაშვილი, რომელმაც მსახიობ მოქალაქის ძნელი, მაგრამ კეთილშობილური გზა განვლო, მოვიდა როგორც ერთ-ერთი ამათგანი, ვისთვისაც ძვირფასი იყო მშრომელთა ინტერესები, და ფართო ასპარეზი გადაეშალა წინ შემოქმედებითი ძალების განვითარებისათვის. იგი სამიდო ძალად ამოუდგა გვერდით ახალგაზრდა კოლეგებს. და 38 წლის მანძილზე უშრეტი ენერგიით ემსახურა ქართული საბჭოთა თეატრის წინსვლის საქმეს.

5. დავითაშვილის დაბადების 80 წლისთავის გამო

რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე მან შექმნა საუკეთესო სცენური სახეები.

ამ ოცდაბუთი წლის წინათ, როდესაც ნინო დავითაშვილი პირველად ვნახე ზაალ ბარათაშვილის დედის როლში („არსენა“), ნათლად გიგრძნე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მსახიობისათვის ჭეშმარიტ შემოქმედებითს სკოლასა და გამუდმებულ შრომას. სხვაგვარად წარმოუდგენელია ამ პატარა ეპიზოდური როლის ისეთი დიდი ოსტატობით განსახიერება, როგორითაც ამას ნინო დავითაშვილი იტარებდა. მას ამ როლში მხოლოდ ორიოდე სიტყვა ჰქონდა: — „რა-ინდს პატივს ვცემ“, — რომელიც ბარონ როზენისადმი იყო მიმართული, მაგრამ ამ ორიოდე სიტყვით მსახიობმა შექმნა ისეთი სცენური პირობები, რომ სავსებით ნათელი გახადა თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის შეურიგებელი პოზიცია დამპყრობთა წინააღმდეგ.

აღნიშნული როლის პირველად შესრულებიდან ოცი წლის შემდეგ კვლავ ვნახე ნინო დავითაშვილის იგივე ლედა. უკვე ხანდაზმული მსახიობი არ დამვიწყებია თავისი პროფესიული სიმაღლიდან. პირიქით, ახლა კიდევ უფრო მკვეთრად უსვამდა ხაზს თავისი გმირის ქედმოუხრელობასა და დიდებულებას, რისთვისაც იგი იყენებდა მხოლოდ ჟესტსა და ორიოდე სიტყვას.

ნინო დავითაშვილმა ბევრი კეთილშობილი, უბადლო ქართველი დედის სცენური სახე შექმნა საბჭოთა თეატრის სცენაზე. ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი გამოჩნდა მისი დედა სპექტაკლ „კაკვიძეში“.

რევოლუციონერი კაზაკის დედას სამოქალაქო ომის ქარტეხილმა მოსტაცა ერთადერთი ვაჟი. შვილი თეთრების წინააღმდეგ იბრძვის, მეუღლე კი თეთრების მხარეზეა. დედის როლი ერთ სურათში იწყება და მთავრდება კიდეც, მაგრამ რაოდენი შემოქმედებითი წვა გამომეღვაწა მსახიობმა, რომელმაც მიზნად დაისახა ეპოვნა სულით ძლიერი დედის დიდი, ადამიანური სიმართლე. მსახიობმა მონახა ის საერთო, რომელიც ანათესავებს ერთმანეთთან. არა მარტო რევოლუციონერების დედებს, მაყურებელს ესმოდა გმირული სიმართლე დედების გულებისა, რომლებიც ირანჯებოდნენ, იწვოდნენ თავიანთი სამაყო შვილების ბედნიერებისათვის ზრუნვით.

მსახიობის მიერ შექმნილ დედათა შორის შუშანი („პეპო“) უკანასკნელი იყო, რომლისთვისაც მსახიობმა ოსტატურად გამოიყენა ქართული რეალისტური სასცენო ხელოვნების საუკეთესო ტრადიციები.

ნინო დავითაშვილმა ქართულ საბჭოთა სცენაზე 60-ზე მეტი როლი განახორციელა.

ქართული სცენის ამ გულმართალ დედაზე გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან თავისი საამაყო ბიოგრაფიის უკანასკნელი დღეებიც სცენაზე გაატარა. გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე იგი მისთვის სანუკვარ რუსთაველის თეატრის სცენაზე დიდი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის დედას წარმოსახავდა, რაც მეორე ღილითაც გაიმეორა. როდესაც მოკიბალები ვკითხე, ხომ არ გღლით-მეთქი ეს მუშაობა, მან მისთვის ჩვეული გულწრფელობით მიპასუხა: „საოცარია, რატომ მეკარგება სრულიად ხანდაზმულობის შეგრძნება სცენაზე. მიმსუბუქდება მოძრაობა, მემატება ენერგია, თითქოს ათეული წლებით ვჭეელდები“. მაშინ მსახიობი 76 წლისა იყო.

იმავე საღამოს ნინო დავითაშვილმა ერთხელ კიდევ განასახიერა მის მიერ შექმნილ დედათა შორის უკანასკნელი დედა („პეპო“). მეორე დღეს გულმართალი ადამიანის სიცოცხლე შეწყდა. ნინოს ცხედარს ამშვენებდა თავსაბურველი ტანჯული დედოფლისა და უბედური დედის — ზეინაბისა, რომლის როლიც მან 50 წლის წინათ ასეთი წარმატებით გამოძერწა.

ნინო შვანგირაძე.

• • •

სურათებზე: 5. დავითაშვილი როლებში — (მარცხნივ) ეფემია (ბ. მრეველიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“) და პრასკოვია (ვ. დარასელის „ეკვეიძე“).

„ჟოლოგა“ ამბები

წიგნი დიდ ილიაზე

„ქართველი ერის უკვდავ მოღვაწეთა შორის ჩვენ გვინათლებს შარავანდედით მოსილი სახე ილია ჭავჭავაძისა.

ილია ჭავჭავაძე ცენტრალური ფიგურაა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში...

წინამდებარე ნარკვევში ჩვენი საგანია ავსახოთ დიდი მწერლის ცხოვრების გზა, გავაშუქოთ მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა“.

ეს ავტორის უბრალო დაპირება როდია. **პავლე ინგოროყვას** წიგნს, რომელშიც მეცნიერული სიზუსტით და თანაც პოეტურად არის ასახული დიდი ილიას ცხოვრების ის და მრავალმხრივი მოღვაწეობა, კარგა ხანია ელობს და აფასებს ჩვენი საზოგადოება.

ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ ილიას დაბადების ასოცდამეხუთე წლისთავის გამო ხელახლა გამოსცა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და მწერლის **პავლე ინგოროყვას** წიგნი — **„ილია ჭავჭავაძე“.**

წიგნის რედაქტორია პოეტი-აკადემიკოსი **ირაკლი აბაშიძე.**

ა. ტვარდოვსკი სოხუმში

სოხუმი, (საკ. კორ.). ამას წინათ აფხაზეთში დასასვენებლად ჩამოვიდა სახელგანთქმული რუსი პოეტი, ლენინური პრემიის ლაურეატი **ალექსანდრე ტვარდოვსკი.**

აფხაზეთის სტუმარი ალექსანდრე ტვარდოვსკი რამდენიმე დღეს დაჰყოფს სოხუმში.

თბილისი ერთ-ერთ ადგილად ითვლება

ბერიოზკა

ბერიოზკა (ბერეზკა) — ბერეზა, ანუ ბოლოხა, ეს ხეა, ეს ხეა, ეს ხე